საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ფულიერებით და ქრთამებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

სამშაბათი, 10 დეკემბერი. 2019 წ. №243 (8909) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ქართული ეკონომიკური სასწაული

ღია წერილი საქართველოს მთავრობის მეთაურს, ბატონ გიორგი გახარიას

იხ. 3 გვ.

„ერთუცნობიანი კაზუსები“ უსუფაშვილებს ბიძინას – ბიძინასგან!

4

„უდაბნოსა“ და „ჩიჩხიტურის“ მონასტერთა საკითხი კვლავ გადაუჭრელია

საქართველოს ეკლესია მხარს ვერ დაუჭერს წამოყენებულ ინიციატივას, რომელიც დავითგარეჯის კომპლექსში შემავალი „უდაბნოსა“ და „ჩიჩხიტურის“ მონასტერთა პრობლემის მოგვარების გზად საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ტრანსსასაზღვრო ტერიტორიის შექმნას მიიჩნევს, – ამის შესახებ აღნიშნულია განცხადებაში, რომელსაც საქართველოს საპატრიარქო ავრცელებს.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, საპატრიარქო მოთმინებით ელოდება არსებული პრობლემის სამართლებრივ ჭრილში გადასვლას და 2019 წლის 15 ივლისამდე არსებული სტატუს-კვოს აღდგენას.

„ბუნებრივია, შექმნილი ვითარებიდან ყველას სურს გამოსავლის პოვნა. ერთ-ერთ მცდელობად უნდა განვიხილოთ ახლახანს საინიციატივო ჯგუფის მიერ გაჟღერებული იდეა, რომელიც აღნიშნული მონასტრების პრობლემის მოგვარების გზად საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის, ამ გეოგრაფიულ ზონაში ტრანსსასაზღვრო ტერიტორიის შექმნას მიიჩნევს.



ამგვარი მოდელი შეიძლება დადებითად აღქმული ყოფილიყო იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოთა შორის ტერიტორიული კუთვნილობის საკითხთან მიმართებაში ისტორიულად, კულტურულად, იურიდიულად და კარტოგრაფიულად იქნებოდა ბუნდოვანება.

„უდაბნოსა“ და „ჩიჩხიტურის“ მონასტრებთან დაკავშირებით კი არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიაში მსგავსი პრობლემა არ არის; ამ წინადადების შეთავაზებით კი, ფაქტობრივად, ჩვენს ხელთ არსებულ დოკუმენტებს უგულებელვყოფთ და აღნიშნული ტერიტორიის საქართველოს კუთვნილებას ეჭვქვეშ ვაყენებთ.

ამიტომაც, საქართველოს ეკლესია მხარს ვერ დაუჭერს წამოყენებულ ინიციატივას.

ჩვენ კვლავაც მოთმინებით ველოდებით არსებული პრობლემის სამართლებრივ ჭრილში გადასვლას და 2019 წლის 15 ივლისამდე არსებული სტატუს-კვოს აღდგენას.

იმედი გვაქვს, ჩვენს ერებს შორის ჩამოყალიბებული კეთილმეზობლობის ტრადიცია თავის დადებით შედეგს გამოიღებს და მშვიდობას ალტერნატივა არ ექნება“.

სოსო მანჯავიძე: პოლიტიკური პარტიები მათი ევროპული ანალოგების გროტესკები არიან!

2

მხილება: ქართულ სამშენებლო ბიზნესში უცხოური კომპანიები დომინირებენ!

5

სოფლის მეურნეობა უნდა გახდეს ეფექტურად მზარდი დარგი!

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი გახარიამ გუშინ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლებთან შეხვედრისას ხაზი გაუსვა აგროსასურსათო ბალანსის გაუმჯობესების აუცილებლობას და აღნიშნა, რომ მთავარი მიზანია, ქვეყანაში წარმოებულმა სოფლის მეურნეობის პროდუქციამ მაქსიმალურად ჩაანაცვლოს იმპორტი, დააკმაყოფილოს შიდა მოთხოვნა და გავიდეს ექსპორტზე.

გიორგი გახარიას თქმით, უმნიშვნელოვანესია მეტი აქცენტი გაკეთდეს ქართული ღვინის ინდუსტრიის ხარისხის სტანდარტებზე. პრემიერმა აღნიშნა, რომ საჭიროა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე კონცენტრირებულად მუშაობა და ისეთი თემები, როგორიცაა მიწის სისტემური რეგისტრაცია, რომელსაც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო იუსტიციის სამინისტროსთან ერთად ახორციელებს, მაქსიმალურად მოკლე ვადაში დასრულდეს. გარდა ამისა, უნდა მოხდეს სამეწარმეო სიმძლავრეების გამსხვილება და ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას მეცხოველეობის ხელშეწყობისკენ.

მთავრობის მეთაურმა უწყებას დაავალა, უმოკლეს დროში წარუდგინოს მეცხოველეობის დარგის განვითარების სტრატეგია და კონკრეტული სამოქმედო გეგმა.

„ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა...“

„ვისაც ნაღდად არსადროდის არ ჰყვარებია, იმას არსადროდის ნაღდად არ უცხოვრია“,

– ასე ამბობდა აგათა ქრისტი

ქართულად გადმოაქცა გურამ გოგიაშვილმა

10 დეკემბერი მეგზეველთა დღეა

გზები, რომლებიც მომავლისკენ მიდიან

5

პრემიერი დღგ-ს თაღლითობის სქემის შესახებ

დაკავებული იქნება ყველა, ვისაც რაიმე სახის შემხებლობა ჰქონდა მსგავს დანაშაულთან, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა დღგ-ს ყალბი ანგარიშფაქტურების საქმესთან დაკავშირებით განაცხადა.

„ამ თემასთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. ბევრი დამნაშავე ამ კონკრეტულ ეპიზოდთან დაკავშირებით დაკავებულია. მიმდინარეობს გამოძიება და დაკავებული იქნება ყველა, ვისაც რაიმე სახის შემხებლობა ჰქონდა მსგავს დანაშაულთან“, — განაცხადა გიორგი გახარიამ. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა მასშტაბური დანაშაულებრივი სქემის გახსნის შესახებ აგვისტოში განაცხადა. ფინანსთა მინისტრის ივანე მაჭავარიანის ინფორმაციით, დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) ყალბი ანგარიშფაქტურების საქმეზე 102 ადამიანის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, აქედან 62 პატიმრობაში იმყოფება. მისივე თქმით, დაკავებულთა უმეტესი ნაწილი სახელმწიფო უწყებების ყოფილი თანამშრომლები არიან.

ვუპირისპირდებით რუსულ პროპაგანდას...

მიუღებელი იქნება ჩვენთვის საქართველოში ისეთი ცენტრების გახსნა, რომელიც მოემსახურება რუსულ ინტერესებს, — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ არჩილ თალაკვაძემ საქართველოში რუსული კულტურის ცენტრის გახსნაზე საუბარისას განაცხადა. როგორც არჩილ თალაკვაძემ აღნიშნა, ვიდრე ოკუპაცია არ დასრულდება არანაირი კომპრომისი ჩვენი ეროვნული ინტერესების ხარჯზე არ იქნება.

„ზურაბ აბაშიძეს ან სახელმწიფოს წარმომადგენელს არ უთქვამს, რომ ჩვენ ვგეგმავთ რაიმე ცენტრის გახსნას. ვიდრე ოკუპაცია არ დასრულდება და რუსეთის ჯარისკაცები არ დატოვებენ საქართველოს ტერიტორიას, არანაირი კომპრომისი ჩვენი ეროვნული ინტერესების ხარჯზე არ იქნება. მით უმეტეს, ჩვენ ვართ იმ პირობებში, როდესაც ვუპირისპირდებით რუსულ ძალას და პროპაგანდას, რომელსაც სამწუხაროდ, გარკვეული მოკავშირეები საქართველოშიც ჰყავს და ზოგიერთი მათგანი შესაძლოა, არის ჩვენი მწვავე ოპონენტიც. ამ პირობებში ჩვენ ხელს არ შევუწყობთ და, რა თქმა უნდა, მიუღებელი იქნება ჩვენთვის თბილისში ან რეგიონებში რაიმე ისეთი ცენტრების გახსნა, რომელიც მოემსახურება რუსულ ინტერესებს“, — განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

მთავრობა და ოპოზიცია შეთანხმდნენ

მთავრობა და ოპოზიცია მრავალმანდატიან მაჟორიტარულ სისტემაზე დაიწყებენ საუბარს. ასეთია სასტუმრო „შერატონში“ გამართული მოლაპარაკებების მეორე რაუნდის შედეგი. ამ ინიციატივით დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები გამოვიდნენ.

ახალ ინიციატივაზე მხარეები შემდეგ შეხვედრაზე იმსჯელებენ, მანამდე კი ოპოზიციამ საპროტესტო აქციების განახლება დააანონსა. მოლაპარაკებების მეორე რაუნდი 4 საათს გრძელდებოდა.

ჩვენი უმთავრესი პრიორიტეტი

— **განაცხადა** ფინანსთა მინისტრმა, ივანე მაჭავარიანმა სასტუმრო „შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასში“ ფინანსთა სამინისტროს ანგარიშის წარდგენისას. მისი თქმით, მნიშვნელოვნად არის შემცირებული ბიუჯეტის დეფიციტი, რომელიც ნარჩუნდება მშპ-ს 2,5-2,7 პროცენტის ფარგლებში. როგორც ივანე მაჭავარიანმა აღნიშნა, ქვეყნის ფისკალური პოლიტიკა ეფუძნება ფისკალური წესების განახლებულ ჩარჩოს, რომელიც მომზადდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შესაბამისად.

„2019 წელს, განახლებული წესების მიხედვით, უცვლელი დარჩა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში მთავრობის ვალის 60%-იანი და ბიუჯეტის დეფიციტის 3%-იანი ზღვარი. ამ პარამეტრების ფარგლებში მთლიანად მოექცა როგორც ცენტრალური და მუნიციპალური ბიუჯეტების ოპერაციები, ასევე, საჯარო სამართლის იურიდიული პირების საბიუჯეტო დეფიციტები და ვალდებულებები. ასევე, მთავრობის ვალის განსაზღვრაში მოექცა კერძო და საჯარო თანამშრომლობის პროექტების ფარგლებში არსებული ვალდებულებებიც“, — აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა.

იუსტიციის მინისტრი ერევანში ფორუმში მონაწილეობს

სომხეთის რესპუბლიკის დედაქალაქი სომხეთ-საქართველოს სამართლებრივი თანამშრომლობის რიგით მესამე ფორუმს მასპინძლობს. ღონისძიებას ესწრება ვიცე-პრემიერი, საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი. მასთან ერთად საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში მინისტრის პირველი მოადგილე მიხეილ სარჯველაძე, სამინისტროს რამდენიმე დეპარტამენტისა და სსიპ-ების ხელმძღვანელები იმყოფებიან.

საქართველოს იუსტიციის მინისტრმა სომხეთ-საქართველოს სამართლებრივი თანამშრომლობის ფორუმის დამსწრეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა. თეა წულუკიანმა სომხეთის იუსტიციის მინისტრ რუსტამ ბადასიანს მადლობა გადაუხადა ღონისძიების მასპინძლობისათვის და აღნიშნა, რომ საქართველოსთვის დიდი პატივია, სომეხ კოლეგებს წარმატებული ქართული რეფორმების გამოცდილება გაუზიაროს და მათგანაც მოისმინოს წარმატებებისა და საერთო გამოწვევების შესახებ.

პოლიტიკური პარტიები მათი ევროპული ანალოგების გროტესკები არიან!

„მირჩევნია, მებაღე ვიყო, ვიდრე პოლიტიკოსი, მე განზე გავდგები, თუკი ხელისუფლებაში მოსასვლელად ვიხილავდი ჯანსაღ ძალებს“, — ბიძინა ივანიშვილის „ბლუმბერგისთვის“ მიცემულმა ამ ინტერვიუმ კითხვები გააჩინა საზოგადოებაში. არავინ დავობს, რომ ხელისუფლებაში დასაბრუნებლად იბრძვიან არაჯანსაღი ძალები, მაგრამ ვინ მიიყვანა პროცესი აქამდე, რატომ ვერ მოხერხდა, ჯანსაღი ძალები გამოჩენილიყვნენ პოლიტიკაში და რა წილი აქვს ამ ყველაფერში „ქართულ ოცნებას“ და კონკრეტულად ბიძინა ივანიშვილს?!

ამის შესახებ FOR..GE-ს თბილისის საკრებულოს ყოფილი დეპუტატი, ანალიტიკოსი სოსო მანჯავიძე ესაუბრა.

— თუკი ბიძინა ივანიშვილს დავესესხებით, „გავდგებოდი გვერდზე, ხელისუფლებაში მომსვლელ ჯანსაღ ძალებს თუ ვიხილავდიო“, ეს ნიშნავს, რომ ივანიშვილი უახლოეს მომავალში ვერ იხილავს ჯანსაღ ძალებს, რადგან ასეთი ძალები არ ჩანს?

— ასეთი ძალები ვერც გამოიკვეთება. სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილმა ახსნა კიდეც, რის გამო ვერ გამოიკვეთება ასეთი ძალები. მან ნაწილობრივ განმარტა, რომ არ არსებობს ამის ეკონომიკური ბაზა. ანუ ორი პარტია მთლიანად იწოვს ეკონომიკას და ვერ აღმოცენდა ჯანსაღი ძალა, რადგან ამის ეკონომიკური წანამძღვრები არ არის. რა თქმა უნდა, ეს სწორია.

— მაგრამ ივანიშვილმა თავადაც არ შეუწყო ხელი მესამე ძალის გაჩენას, თუკი აქ ვიგულისხმებთ „შუა გაკრეფის პრინციპს“...

— ცხადია, ის აყოლილი იყო დიქოტომიურ სქემას და, ასევე, სახელმწიფო მოწყობის იმ მოდელს, რომლის იდეოლოგებიც არიან „ქართული ოცნების“ დღევანდელი ხელმძღვანელები, კობახიძე, თალაკვაძე და სხვები... ეს სიტუაცია აუცილებლად გულისხმობს არაფორმალურ მართვას, ანუ ვიღაც უნდა იყოს ბოლო ინსტანცია, საბოლოო ინსტანციის გარეშე ხელისუფლება ვერ ხორციელდება. მით უმეტეს, საქართველოში, ვიღაცამ უნდა გადაწყვიტოს საკითხები, ასეთ ფუნქციას ასრულებს ბიძინა ივანიშვილი, რომლის ხელისუფლება სცილდება მის ინსტიტუციონალურ უფლებამოსილებებს. ახლა მას აბრალებენ დიქტატურას, ტირანიას. ეს კომიკურია, რადგან ყველაფერი შეიძლება დავაბრალოთ მას, დიქტატურისა და ტირანიის გარდა. შესაბამისად, ჩვენ გვაქვს არამდგრადი, ქაოსისკენ მიდრეკილი სისტემა. იმ შემთხვევაში, თუ ე.წ. ოპოზიციური პარტიების გაერთიანება მოახერხებს და ბიძინა ივანიშვილს ჩამოაცილებს „ქართულ ოცნებას“, მივიღებთ ქაოტურ მდგომარეობას. ეს არის ოპოზიციის სტრატეგია. „ქართული ოცნება“ როგორც იდეოლოგიური გაერთიანება, თანამოაზრეთა გუნდი ნაკლებად შეიძლება წარმოვიდგინოთ, აქ მყოფი ადამიანები გაერთიანებულნი არიან სახელმწიფო აპარატში მათი გაბატონებული მდგომარეობით და ამ მდგომარეობას უზრუნველყოფს ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტი და ფინანსები. თუ მოხდება ივანიშვილის ჩამოცილება ხელისუფლებიდან, ქაოტური მდგომარეობის მეშვეობით „პატივცემული“ „ნაცმოძრაობა“ და მასთან აფილირებული ძალები ხელისუფლებაში მოსვლას შეეცდებიან. მათ ეს გათვლა აქვთ, სხვათა შორის, ძალიან ჭკვიანური გათვლაა. რადგან ასეთი ქაოსის პირობებში ხდება სახელმწიფო სტრუქტურებში მომუშავე ადამიანების დეზორგანიზაცია, ძალოვანი სტრუქტურების დემორალიზაცია და რაღაც მომენტში, როდესაც ხელისუფლება ოპონენტების გამოხდომებს ვერ სცემს პასუხს, ადამიანები აღარ უჭერენ მხარს ასეთ ხელისუფლებას და მათი აგრესია უკვე ხელისუფლებისკენ მიემართება, რადგან ქაოსზე პასუხისმგებლობა, მიუხედავად იმისა, ვინ გამოიწვია ეს ქაოსი და ვინ არის ამის ბენეფიციარი, მაინც ხელისუფლებას ეკისრება. ეს პროცესი მიმდინარეობს ახლაც.

— არასტაბილურობა მხოლოდ გავრილოვის ღამის შემდეგ დაებედა ჩვენს ქვეყანას, თუ მისი ფესვები გაცილებით ღრმაა?

— არასტაბილურობა იმ დღიდან გრძელდება, რაც „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში. უკვე ბანალურია ამაზე საუბარი, რომ არ მიეცა პოლიტიკური შეფასება „ნაცმოძრაობის“ დანაშაულებრივ ქმედებებს, „ნაცების“ და მისი დანაყოფების შენარჩუნება და პოლიტიკური რეანიმაცია ხდებოდა იმ მიზნით, რომ საქართველოში იმიტაციური დემოკრატიული სქემა შენარჩუნებულიყო. „ქართული ოცნება“ გაჰყვა სახელმწიფოებრივი მოწყობის იმ სქემას, რომელიც სააკაშვილმა თავისი ხელისუფლების გახანგრძლივებისთვის შეიმუშავა დემეტრაშვილსა და შარმანაშვილთან ერთად. აქ იგულისხმება ე.წ. საპარლამენტო რესპუბლიკა, საპრეზიდენტო ინსტიტუციის სიმბოლურად, ცერემონიალური უფლებების მქონე ინსტიტუტად გადაქცევა. ქვეყანაში, სადაც არ არსებობს ინსტიტუციები და, სადაც პოლიტიკური პარტიები არის მათი ევროპული ანალოგების გროტესკები, სადაც დემოკრატიული ტრადიცია არ არის, რადგან ჩვენ გამოვედით საბჭოთა სისტემიდან, ასეთ ვითარებაში ამ მოდელის შექმნა იწვევს ძალაუფლების სისტემის კოლაფსს. ქვეყანაში ვერ ხორციელდება ძალაუფლება, რადგან არ არსებობს ლეგიტიმური პირი, რომელიც განახორციელებს ხელისუფლებას. ხალხის ნდობის მანდატით არჩეული პირი შეიძლება ყოფილიყო პრეზიდენტი, მაგრამ იმ მოტივით, რომ საპრეზიდენტო ინსტიტუტი შეიცავს ავტორიტარიზმის საფრთხეს, შემოღებულ იქნა განსხვავებული მოდელი. გარკვეული ძალები ზუსტად ამ მოდელს კარნახობენ პოსტსაბჭოთა სივრცეში ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა მოლდოვა, სომხეთი, უკრაინა, საქართველო. ეს მიუღებელი მოდელია, რადგან არამდგრადი სისტემაა და არ ჰყავს საყრდენი. ნებისმიერ პატარა ბიძგს სისტემა გამოჰყავს წონასწორობიდან, სახელისუფლო ვერტიკალი არ არსებობს, ხდება ქვეყნის უწყებებად, სხვადასხვა ინსტიტუციებად დაშლა. ამას ერთგვარ ფეოდალურ დაქუცმაცებულობას შევადარებ, როცა პასუხის მომთხოვნი არავინაა, ყველა სისტემა საკუთარი ინტერესებით მუშაობს.

— თქვენ ბრძანეთ, ეს ძალები ცდილობენ ბიძინა ივანიშვილის ჩამოცილებას ხელისუფლებიდან, მაგრამ ეს გეგმა მიღწევადია მაშინ, თუ მარტო არ ხარ და დასავლეთიც მხარს გიჭერს. როგორ გგონიათ, დასავლეთი მათ თანაუგრძნობს? მაშინ რას ნიშნავს „ნაციონალების“ წუხილი, რომ დასავლეთი „არ აწვება ამ ხელისუფლებას“?

— დასავლეთი იქნება, თუ აღმოსავლეთი, ეს რეალობას აცილებულია. დასავლეთი შედგება ძალიან ბევრ ინტერესთა ჯგუფისგან. ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ იმ ძალაზე, რომელიც პოლიტიკურ მხარდაჭერას უცხადებს ამ აგრესიულ ძალებს ხელისუფლებაში მოსასვლელად. ჩვენ დავინახეთ, დასავლეთში რომელი ძალებიც არიან ესენი, ისიც დავინახეთ, თუ ვინ აწყობს კონფერენციებს და ვინ რა განცხადებით გამოდის. ესენი არიან ამერიკელი ნეოკონსერვატორები, რომლებსაც უნდათ საქართველოში ანტირუსული ფორპოსტის შექმნა, ანუ აქ უნდათ რუსეთის საწინააღმდეგო რადიკალურად განწყობილი ცენტრის შექმნა, რომელიც საჭირო დროსა და მომენტში გამოიწვევს სიტუაციის დაძაბვას.

— სხვათა შორის, ე.წ. ოპოზიცია ძალიან ხშირად იმეორებს, რომ ბიძინა ივანიშვილი რუსული ძალაა და თავად არიან პროდასავლელები. ამაში არის სიმართლის მარცვალი?

— ეს არის ტყუილი. როგორ არის ივანიშვილი რუსული ძალა, როდესაც ამერიკაში სამხედრო თანამშრომლობის შესახებ ჩარჩო-ხელშეკრულებას მოეწერა ხელი ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტისას, როდესაც ანტიდისკრიმინაციული კანონი მიიღო „ქართულმა ოცნებამ“, ასევე, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს არის ვიზალიბერალიზაცია და ასოცირების ხელშეკრულება დადებული.

იხ. 4 გვ.

ქართული ეკონომიკური სასწაული

ღია წერილი საქართველოს მთავრობის მეთაურს, ბატონ გიორგი გახარიას

დიდად პატივცემულო ბატონო გიორგი!

ქვეყნისა და ერის წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობით მოგახსენებთ, რომ ქართველ მეცნიერთა მრავალწლიანი მაკროეკონომიკური კვლევების საფუძველზე და საქართველოს კონკურენტუნარიანი უპირატესობის განმსაზღვრელი ფაქტორების გათვალისწინებით, შემუშავებულია ქვეყნის სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების კონცეფცია – „წყალი – ეროვნული სიმდიდრე“, ასევე პროგრამა – „რეალურად განხორციელებადი ქართული ეკონომიკური სასწაული“, რომელიც ეფუძნება მიწისქვეშა ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის შექმნა-განვითარებას.

პროგრამის მიზანია: საქართველოს სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, მოსახლეობის სიდუხჭირიდან გამოყვანა და კეთილდღეობის ამაღლება; ქვეყნის მატერიალური სიმდიდრის ზრდა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ახალი ფინანსურ-ეკონომიკური ინსტრუმენტების ფორმირება და დარგობრივ-ეკონომიკური პროექტების განხორციელება ფულადი რესურსების უზრუნველყოფით; ერთიანი, ეკონომიკურად ძლიერი, სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოს მშენებლობა „ქვეყნის აღმშენებლობის ახალი ეკონომიკური კონსტიტუციის“ საფუძველზე; საზოგადოების ერთიანობის განცდის აღდგენა და სხვ.

მიზნის მიღწევის გზები: საქართველო უნდა გახდეს მსოფლიო მნიშვნელობის კონკურენტუნარიანი უპირატესობის მქონე მიწისქვეშა ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიული წარმოებისა და მზა პროდუქციის მსოფლიო ექსპორტიორი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქვეყანა; ამის საფუძველზე საქართველო შეძლებს ყოველწლიურად ჩამოასხას 50 მლრდ ლიტრი მაღალხარისხოვანი სასმელი წყალი. ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის სააქციო საზოგადოების ყველა წევრი ეტაპობრივად გახდება საქართველოს მკვიდრი ყველა მოქალაქე, რომელთაც უფასოდ გადაეცემათ ასეულათასობით აშშ დოლარის „მატერიალური ღირებულების“ 1 აქცია საკუთრების უფლებით, რაზეც გამოცხადდება გასხვისების 10-წლიანი მორატორიუმი მოსახლეობის საშუალო ფენის შექმნა-ჩამოყალიბებისა და მდიდარი მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობის შენარჩუნების ზრდის პერსპექტივით.

რაც მთავარია, უზრუნველყოფილია სასმელი წყლის მსოფლიო ბაზრის მოპოვება და ინდუსტრიული მშენებლობისთვის საჭირო 5 მლრდ აშშ დოლარით დაფინანსება.

პროექტის რეალიზაციის შედეგებიდან აღსანიშნავია შემდეგი: 18 თვეში საქართველოს მუნიციპალურ ერთეულებში აშენდება 190-მდე სასმელი წყლის ჩამომსხმელ-დამფასოებელი ქარხანა; პირველ ეტაპზე შეიქმნება 80-100 ათასამდე სამუშაო ადგილი; დასაქმებულთა საშუალო ხელფასი იქნება 1500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში; ქვეყნის ყოველწლიური შემოსავალი იქნება 12 მლრდ დოლარის ეკვივალენტი ლარებში; კონცეფცია-პროგრამის რეალიზაციით საქართველოს ბიუჯეტი შეივსება 2,5 მლრდ დოლარის ეკვივალენტით ლარში; შეიქმნება განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, აშენდება ახალი პორტები და ტერმინალები. აღნიშნული ინდუსტრიული მშენებლობის დასრულებისთანავე, **მიწისქვეშა სასმელი წყლის ბუნებრივი რესურსების კაპიტალიზაციის ტექნოლოგიური მოდელის გამოყენება უზრუნველყოფს ახალი ფინანსური ინსტრუმენტების ფორმირებას, რაც მსოფლიოს უმაღლესი კლასის საბანკო გარანტიაა დარგობრივი ეკონომიკური პროექტებისათვის საჭირო გრძელვადიანი მცირეპროცენტიანი ფულადი რესურსების მოსაზიდად; სტრატეგიულ პარტნიორებთან ხანგრძლივი მოლაპარაკებების საფუძველზე მიღწეულია შეთანხმება მილიარდობით დოლარის გამოყოფის თაობაზე; სოფლის მეურნეობის, გადამმუშავებელი მრეწველობის, ენერგეტიკის, ქალაქებისა და დაბების წყალმომარაგება-წყალარინების ახალი სისტემების მშენებლობისა და საზღვრისპირა მაღალმთიან რეგიონებში თანამედროვე სოფლების ურბანული განვითარებისთვის, მთისა და ბარის კოოპერირებისთვის, გლეხურ-ფერმერული მეურნეობების მოსაწყობად, მეცნიერების, ჯანმრთელობის, კულტურის, განათლებისა და სპორტის, ინოვაციური ტექნოლოგიების და ა.შ. სტრატეგიული მიმართულების განვითარებისთვის; მრავალი მლნ დოლარი გამოიყოფა ტყეების გაშენება-რეაბილიტაციისა და აღდგენა-განახლების მიმართულებით;** მიღებული შემოსავლების რეინვესტირებით მეათე წელს საქართველოში მაღალი ანაზღაურებით დასაქმდება 450 ათასამდე ადამიანი, ხოლო ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლები მიაღწევს ათეულმილიარდობით დოლარს, რასაც ადასტურებს ფინანსური ნაკადების ბრუნვის აქსელერატორი (ბიზნეს-გეგმა).

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე შეიქმნება ნავთობისა და გაზის საბადოების მფლობელი წარმატებული არაბული ქვეყნების ბევრად უკეთესი ქართული მოდელი იმ უდიდესი უპირატესობით, **რომ სასმელი წყლის რესურსები მუდმივად თვითგანახლებადი, ადამიანისათვის აუცილებელი სასიცოცხლო დანიშნულების უნიკალური პროდუქტია. არსებითად გაიზრდება მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობა, შეიქმნება მოსახლეობის საშუალო ფენა, საფუძველი ჩაეყრება ერთიანი, ძლიერი, დამოუკიდებელი ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნქციონირებას, რითაც საქართველო, მშვიდობიანი და მდგრადად განვითარებადი რეგიონული ეკონომიკური სივრცით, ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს მსოფლიო თანამეგობრობაში.**

მოკლედ, ბუნებრივი სასმელი წყლის უზარმაზარი რესურსული პოტენციალის ინდუსტრიულ საფუძველზე ამოქმედება და გამოყენება საქართველოს მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს ქვეყნად გადააქცევს. ამ შესაძლებლობის გამოუყენებლობა კი ერის წინაშე ჩადენილი გამოუსწორებელი, საშინელი შეცდომა იქნება.

დიახაც, რომ შემუშავებული გრანდიოზული პროექტის განხორციელება საქართველოს უამრავ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემას მოუხსნის, ხოლო მსოფლიოს „წყალმოწყურებული“ ქვეყნების 2/3-ზე მეტ მოსახლეობას, რომელიც წყლის კატასტროფულად მზარდი დეფიციტის პირობებშია, სასიცოცხლო შვებას მოუტანს, საქართველო კი – დიდძალ ფულად შემოსავლებს მიიღებს მსოფლიოს ხალხების მადლიერებასთან ერთად.

საქართველოს სწრაფი სოციალურ ეკონომიკური განვითარების კონცეფცია – „წყალი – ეროვნული სიმდიდრე“ და პროგრამა– „რეალურად განხორციელებადი ქართული ეკონომიკური სასწაული“, არის ქვეყნის აღმავლობისა და გაბრწყინების გრანდიოზული პროექტი. **იმედის მომცემი და ფრიად სასიხარულოა, რომ ამ პროექტის პრაქტიკულ განხორციელებას, ქვეყნის მეტად რთული შეჭირვების ჟამს, ხელს შეუწყობს ცნობილი ქართველი მეცენატისა და ქველმოქმედის, ბატონი ბიძინა ივანიშვილის საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე წარმატებული გამოცდილება და მიღწევები.** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის და დარგობრივი აკადემიების პრეზიდიუმების, ასევე მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეროვნული პრობლემების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის მიერ არაერთგზის იქნა განხილული და მოწონებული ქვეყნის სწრაფი განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის მიღწევის ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები შესაბამისი სამოქმედო გეგმით, რომელსაც ხელს აწერს ეროვნული აკადემიის 21 წევრი, ასევე 30 მოწვეული მაღალკვალიფიციური ექსპერტი, სულ – 56 აკადემიკოსი და პროფესორი, არაერთხელ გადაეგზავნა ბოლო წლების განმავლობაში თქვენამდე მოქმედი ხელისუფლების პრემიერ-მინისტრს, თუმცა, მისგან რაიმე გამოხმაურება საზოგადოებას არ უგრძნია.

ამ ფონზე, ბატონო გიორგი, სასიხარულო და იმედისმომცემია თქვენი დაუოკებელი შემართება თუ მზადყოფნა, გაბედულად, სწრაფად, გონივრულად, ერის ინტერესების სასარგებლოდ დაარეგულიროთ ქვეყნის მრავალრიცხოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემა. ღრმად დარწმუნებული ვართ, უსათუოდ მიიპყრობს თქვენს ყურადღებას სასმელი წყლის ინდუსტრიის ხორცშესხმის გადაუდებელი ამოცანა, რაც ქვეყანასა და ერს დიდ შვებას მოუტანს, თქვენ და თქვენი ხელისუფლების პოლიტიკური გუნდი კი საქართველოს ისტორიაში ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებთ ახალი ეკონომიკური კონსტიტუციით ქვეყნის აღმშენებლობასა და მოსახლეობის კეთილდღეობის მიღწევისათვის.

პატივისცემით:

ელიზბარ ჯაველიძე,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეროვნული პრობლემების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე, სახალხო მოძრაობა „საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისათვის“ საპატიო თავმჯდომარე.

პაატა გიორგაძე,
კონცეფცია-პროგრამის ავტორი და თანაავტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი, სახალხო მოძრაობა „საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისათვის“ თავმჯდომარე, საქართველოს საინჟინრო აკადემიისა და საქართველოს ბიზნეს მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი.

ოთარ ნათიშვილი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, სოფლის მეურნეობის აკადემიკოს მდივანი.

რევაზ გოგოხია,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა და საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი.

რომან რურუა,
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი-აკადემიკოსი, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი და ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ექსპერტი მცირე და საშუალო სამეწარმეო დარგში, საზოგადო მოღვაწე.

გიგა ბათიაშვილი,
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მსოფილიოს არქიტექტორთა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოსა და საერთაშორისო საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი, თბილისის საპატიო მოქალაქე.

ნოდარ ჩხეიძე,
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი-აკადემიკოსი, სახალხო მოძრაობა „საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისათვის“ აჭარის რეგიონის თავმჯდომარე და მოძრაობის თანათავმჯდომარე.

რამაზ სურმანიძე,
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, სახალხო მოძრაობა „საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისათვის“ თანათავმჯდომარე.

ზაურ ციხელაშვილი,
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი-აკადემიკოსი, ჰიდროგეოლოგიის განყოფილების აკადემიკოს მდივანი.

გურამ სალარაძე,
მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, თბილისის საპატიო მოქალაქე. საზოგადო მოღვაწე, სახალხო მოძრაობა „საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისათვის“ დამფუძნებელი.

თემურ ხაბულიანი,
ექსპერტი სამეწარმეო საკითხებში, სახალხო მოძრაობა „საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისათვის “დამფუძნებელი.

შალვა ნეფარიძე,
ექსპერტი სამეწარმეო საკითხებში, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, სახალხო მოძრაობა „საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისათვის“ დამფუძნებელი.

ავთო აბაშიძე,
მეცნიერებათა დოქტორი, სამართალმცოდნე, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, სახალხო მოძრაობა „საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისათვის“ კოორდინატორი და დამფუძნებელი.

ზურაბ აბაშიძე,
მეცნიერებათა დოქტორი, ექსპერტი სამრეწველო მშენებლობის საკითხებში, სახალხო მოძრაობა „საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისათვის“ დამფუძნებელი. აჭარის რეგიონის კოორდინატორი.

ნატალია ზაქარეიშვილი,
ექსპერტი სოციალურ საკითხებში, სახალხო მოძრაობა „საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისათვის“ დამფუძნებელი და საორგანიზაციო საკითხების კოორდინატორი.

გურამ გუნავა,
სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ექსპერტი საორგანიზაციო საკითხებში, სახალხო მოძრაობა „საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისათვის“ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის კოორდინატორი.

ირაკლი მიქაძე,
გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ჰიდროგეოლოგი, პროფესორი. საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის და საქართველოს ბიზნეს მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი-აკადემიკოსი.

ნიკოლოზ გონაშვილი,
კახეთის რეგიონის კოორდინატორი, სახალხო მოძრაობა „საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისათვის“ დამფუძნებელი.

„ᲔᲠᲗᲣᲪᲜᲝᲑᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲖᲣᲡᲔᲑᲘ“ ᲣᲡᲣᲤᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ

ᲔᲠᲗᲘ ᲬᲣᲗᲘᲗ თვალები დავხუჭოთ და წარმოვიდგინოთ, რომ გადაწყდა და 2020 წლის არჩევნები ტარდება ე.წ. „უსუფაშვილის მოდელით“...

ᲓᲐᲑᲔᲯᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ, ᲠᲝᲛ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“, ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲐᲠᲐᲡᲐᲮᲐᲠᲑᲘᲔᲚᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ. �პᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲔᲚᲘᲢᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲜᲐᲬᲘᲚᲨᲘ, ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘᲪ, ᲓᲘᲓᲘ ᲐᲚᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ, ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲘᲦᲛᲐ ᲛᲝᲣᲬᲘᲕᲔᲡ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲡᲘᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲟᲝᲠᲘᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ. ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ „ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“, ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲓ, ᲨᲔᲣᲓᲒᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐᲡ.

გავაკეთოთ ასეთი დაშვება (რეალობასთან მიახლოებული) – მმართველი პარტიის ლიდერები თავის მაჟორიტარებს, დიდი ბოდიშის მოხდით, განუცხადებენ, რომ მათთვის პრიორიტეტი პროპორციული არჩევნებია, სიაში ათ მაჟორიტარზე მეტისთვის ადგილი ვერ მოიძებნება, ამიტომ არ სურთ (არ აწყობთ) მაჟორიტარულ არჩევნებში კანდიდატების წარდგენა და შესთავაზებენ, რომ მათ ცალკე პარტია გააკეთონ, ან სხვა პარტიებს დაასახელებინონ თავი.

ბუნებრივია, სოლიდარობის ნიშნად, ის ათი მაჟორიტარიც კოლეგებთან ერთად დაიწყებს გამოსავლის ძებნას და ყველანი ერთად ზემოხსენებული ორი რჩევიდან ერთ-ერთზე ჩამოყალიბდებიან.

აღნიშნული მოცემულობიდან გამომდინარე:

კაზუსი - 1: არჩევნებში „ოცნებამ“ მიიღო „დანაპირები“ 60% (90 მანდატი); „მაჟორიტარების პარტიამ“ მოიგო 70 მაჟორიტარული ოლქი; დარჩენილი სამი მანდატი გადანაწილდა სხვა პარტიებზე; 3%-იანი ბარიერი გადალახა კიდევ ხუთმა საარჩევნო სუბიექტმა (16%, 8%, 6%, 4%, 4%. შესაბამისად – 24+12+9+6+6=57 მანდატი).

კითხვა – **როგორ გადაანაწილებდით კონსტიტუციით განსაზღვრულ 150 მანდატს?**

არითმეტიკით რომ არ გაწვალდეთ, გეტყვით, რომ მოპოვებული მანდატების ჯამური რაოდენობაა 217(!).

კაზუსი - 2: არჩევნებში „ოცნებამ“ მიიღო „დანაპირები“ 60% (90 მანდატი); მეორე და მესამე ადგილებზე გასულმა პარტიებმა მოიგეს ყველა მაჟორიტარული ოლქი (43+30+73 მანდატი); 3%-იანი ბარიერი გადალახა კიდევ სამმა საარჩევნო სუბიექტმა (6%, 4%, 4%. შესაბამისად – 9+6+6=21 მანდატი).

კითხვა – **როგორ გადაანაწილებდით კონსტიტუციით განსაზღვრულ 150 მანდატს?**

აქაც, არითმეტიკით რომ არ გაწვალდეთ, გეტყვით, რომ მოპოვებული მანდატების ჯამური რაოდენობაა 184(!).

(შემოთავაზებული კაზუსების ანალოგიით კიდევ რამდენიმე კაზუსი მკითხველს შეუძლია თვითონ შეადგინოს).

აღნიშნულთან დაკავშირებით, უსუფაშვილს, თავის ვაშაძიან, ნათელაშვილიან, ბურჯანაძიან, ხმალაძიან და სხვა „იურისტებიანად“ ორი თეორიული პასუხი შეიძლება ჰქონდეთ:

1) ვინაიდან მაჟორიტარულ მანდატებს ვერ შევკვეცთ, რადგან „73“ კონსტიტუციით არის მკაცრად განსაზღვრული (ამას უსუფაშვილიც აღიარებს), პროპორციულ სიებს (ესეც კონსტიტუციით მკაცრად არის განსაზღვრული, მაგრამ, მოდით, უსუფაშვილს ვენდოთ და დავუშვათ, რომ - არ არის) უნდა შევუკრიჭოთ ბოლოები;

2) ასეთი რამ არ მოხდება(?).

დასკვნა-1 (პირველი სავარაუდო პასუხის შემთხვევაში): „28 პარტია“, თავის „პატრიოტთა ალიანსიანად“, პროპორციულ არჩევნებს საპარლამენტო მანდატების ვითომდა „სამართლიანი გადანაწილებისთვის“ რომ ითხოვენ, იმ ყველაზე არასამართლიანი გადაწყვეტილების მიღების წინაშე დააყენებენ ქვეყანას, რაც კი ჩვენს რეალობაში ადამიანის („რესპუბლიკელის“) გონებამ შეიძლება მოიფიქროს. როგორ წარმოგიდგენია, მშვიდობისა და სტაბილურობის მოსურნე ქართველო ამომრჩეველო, ხუთი ან ექვსი პარტიისთვის წვალებით მოპოვებული, ჯამში 34-დან 67-მდე მანდატის (მცირე მეტ-ნაკლებობით) „აწაპვნა“, ან „ახევა“ ? (სხვა სიტყვებს ვერ ვპოულობ).

დასკვნა-2 (მეორე სავარაუდო პასუხის შემთხვევაში): კანონის, მით უმეტეს, კონსტიტუციის, „ასეთი რამ არ მოხდება“-თი ახსნა არაკვალიფიციურობის, უფრო მეტიც, უვიცობის ნიშანია.

ზოგადად, კონსტიტუციური რედაქცია არ შეიძლება ინტერპრეტაციებს დაექვემდებაროს. ყველა მუხლი, ყველა დებულება პირდაპირი მნიშვნელობით უნდა წავიკითხოთ, თორემ მუდმივად ისეთ ქაოსში ვიცურავებთ, რომლის შექმნასაც დღეს ცდილობს ე.წ. ოპოზიცია; **არ შეიძლება, ერთი და იგივე ჩანაწერი შერეულ სისტემასაც გულისხმობდეს და სახელობით-პროპორციულსაც**. რაც შეეხება „მოხდება-არმოხდებას“ თემას... სწორედაც ის მოხდება, რაზედაც ზემოთ ვსაუბრობდი, ან რაღაც მსგავსი, რადგან, თუ საქმე აქამდე მივა, „ოცნებისთვის“ ეს იქნება შექმნილი სიტუაციიდან ყველაზე რაციონალური და იმავე დროს, მაქსიმალურ შედეგზე ორიენტირებული გამოსავალი;

მთავარი დასკვნა (1): ე.წ. „უსუფაშვილის მოდელი“ არათუ შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციასთან, არამედ კონცეპტუალურ წინააღმდეგობაშია, არსობრივად ებრძვის მას.

მთავარი დასკვნა (2): ე.წ. „უსუფაშვილის მოდელი“ საქართველოს კონსტიტუციასთან რომც მოდიოდეს შესაბამისობაში (დავუშვათ), ის იქნება პოლიტიკური ვითარების გაუარესებისკენ გადადგმული ნაბიჯი, რადგან არანაირად არ შეესაბამება ქართულ რეალობას, რადგან ჩვენ წინაშე არსებული ორი მთავარი მიზნის – „სამართლიანი არჩევნების“ და „პარტიული სისტემის გაძლიერების“ – ინტერესებს არ პასუხობს.

ე.წ. ოპოზიციის გეგმის პოლიტიკური შეფასება: გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საპროტესტო აქციების დაწყება ძალიან იოლი საქმეა, მაგრამ აქციების მასშტაბების თანმიმდევრული ზრდა („აგორება“) და გრძელვადიანში გადაყვანა – რთული. კიდევ უფრო რთულია აქციების დასრულება, განსაკუთრებით მაშინ, როცა კონკრეტული შედეგი არ გიჭირავს ხელში. დღეს მიმდინარე აქციებიდან მისი ორგანიზატორებისთვის ღირსეული გამოსავალი არ ჩანს. ამიტომ ერთგვარი იძულების წინაშე დგანან, დრო გაწელონ, იმის იმედით, რომ იქნებ სადმე რაიმე ხავსისმაგვარს ჩაჭიდონ ხელი.

ეუთოში „უსტარს“, ალბათ, მათივე „მსტოვრებიც“ მიჰყვებიან საქმის „გაიმასქნების“ მიზნით. უნდა ვივარაუდოთ, ნაცრეჟიმის პარტიებს, როგორც აქამდე (არაერთხელ) მიუღიათ ქვეყნის დამაზიანებელი მხარდაჭერა, ევროპის სახალხო პარტიის ზოგიერთი წარმომადგენლის, ენ-დი-აი-ს, აი-ერ-აი-სა და სხვა ოფიციალური თუ არაოფიციალური ლობისტების მხრიდან, ასეთივე რაღაც ქვედინებები ამ პროცესშიც ექნებათ გამოყენებული. არ უნდა დაგვავიწყდეს ამ ორგანიზაციაში გიგი წერეთლის გავლენებიც... აი, ბატონებო და ქალბატონებო, ის „ხავსები“, რაზედაც წინა აბზაცში მქონდა საუბარი.

ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲠᲩᲔᲡ – „ᲗᲔᲛᲐ ᲓᲐᲮᲣᲠᲣᲚᲘᲐ“ – ᲛᲝᲠᲩᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲗᲐᲕᲓᲐ. ᲡᲮᲕᲐᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲘᲬᲘᲚᲝ-ᲑᲘᲬᲘᲚᲝ ᲐᲠ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ.

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲓᲕᲐᲚᲘ

P.S.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ „რესპუბლიკელების“ დროში მოზაიკურად გაბნეული, უწყვეტი და მარად უშედეგო აქტივობები ყოველთვის ერთ კარგ ქართულ ზღაპარს, „მუჭანახევარას“ და მის უიღბლო პერსონაჟს მაგონებს ხოლმე. საწყალი და საცოდავი მუჭანახევარა მუდმივად ლანძღვა-გინებისა და ცემა-ტყეპის ობიექტია, რადგან არიცის და ვერც სწავლობს, სათქმელს როგორ შეურჩიოს დრო და ადგილი...

მუჭანახევარას მიმართ უსამართლო ვიქნები, თუ არ ვიტყვი, რომ „ჩვენი“ „რესპუბლიკელებისგან“ განსხვავებით, ყველა ეპიზოდში ის თანაგრძნობასა და სიბრალულს იმსახურებს, რადგან უბოროტო, ვიმეორებ - უბოროტო ბრიყვია. ესენი კი...

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘ ᲛᲐᲗᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲐᲜᲐᲚᲝ�გᲔᲑᲘᲡ ᲒᲠᲝᲢᲔᲡᲙᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ!

(ᲛᲔᲝᲠᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

– მაგრამ ჩნდება კითხვები ანაკლიის პორტთან მიმართებით, ასევე, რუსეთიდან ჩამოსული კადრების, მათ შორის, გახარიას დაწინაურებასაც უხსენებენ ბიძინა ივანიშვილს.

– ანაკლიის პორტს რაც შეეხება, ვერანაირი ეკონომიკური გათვლები ვერ წარმოადგინა იმ კონსორციუმმა და, შესაბამისად, ვერც ინვესტორი მოიძიეს. ერთადერთი, მათი მანიპულაციის ამოცანა იყო, რომ სახელმწიფოს აეღო გარანტიები იმ შემთხვევისთვის, თუკი ანაკლიის პორტი ვერ დაიტვირთებოდა შესაბამისად და იქნებოდა წამგებიანი. გამოდის, სახელმწიფოს უნდა მიეცა გარანტიები წამგებიან პროექტზე. როდესაც შეკითხვები დაისვა, არის თუ არა ანაკლიის პორტი უზრუნველყოფილი ჩინური ტვირთებით, გაირკვა, რომ არ არის უზრუნველყოფილი და, საერთოდ, დოკუმენტიც არ შექმნილა ყბადაღებულ აბრეშუმის პროექტთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ამერიკელებს არ აწყობდათ აქ ჩინური კაპიტალის შემოსვლა. ვისაც შეეძლო ამ პროექტის სუბსიდირება და მისი აშენება, ეს ჩინეთი იყო და ამერიკელებმა კატეგორიული წინააღმდეგობა გაწიეს ჩინური კაპიტალის შემოსვლაზე.

– დავუბრუნდეთ ისევ ოპოზიციას, რომელმაც 7 დეკემბრიდან მასშტაბური აქციები დააანონსა რეგიონებში. ეს ნიშნავს, რომ მღელვარება რეგიონებსაც გადაედება? რას უპირისპირებს ხელისუფლება ოპოზიციის სტრატეგიას?

– ხელისუფლებას ძალიან ცოტა არჩევანი აქვს მის მიერვე დაშვებული 7-წლიანი სისტემური შეცდომების გამო. კონტრაქციის ორგანიზება არ დაიმალება და შესაძლოა, ვითარება დასრულდეს იმით, რომ „ნაცმოძრაობამ“ მიიღოს საკრალური მსხვერპლი, ჩაითრიოს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც „ნაცების“ ყოფნის გამო უარს ამბობს რაიმე ტიპის აქტივობაზე. ეს შედეგი შეიძლება დადგეს ამის გამო. ამიტომ ხელისუფლება ამას ერიდება, თუმცა, ამას არ ერიდება „ნაცმოძრაობა“ და მისი სატელიტები, რომლებიც ყველანაირად ცდილობენ, ტემპერატურა იმ დონეზე ასწიონ, დაპირისპირებამ მაქსიმალურ ხარისხს მიაღწიოს. ეს რეგიონებში გასვლასაც ეხება. თანამდებობის პირს აქვს თმენის ვალდებულება, მაგრამ, როცა ადამიანებს ეძახი „მონას“, აფურთხებ და აგინებ, ამაზე მათ გაუჩდებათ ბუნებრივი რეაქცია.

„ნაცებს“ სამოქალაქო დაპირისპირებისკენ მიჰყავთ საქმე, მაგრამ პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება, რომ „ნაცები“ ამდენი ხანი სასათბურე პირობებში ჰყავდათ. რაც მთავარია, თვითონ ეს სიტუაცია გამორიცხავს ქვეყნის განვითარებას. რომელ ინვესტიციებსა და სტრატეგიაზეა საუბარი, ტურიზმზე იყო აგებული ჩვენი ეკონომიკის დიდი ნაწილი და რომელ ტურისტს მოეწონება, რაც დღეს ხდება, როცა ჩვენი ტელევიზიები აჩვენებენ საშინელი დაძაბულობისა და შეხლა-შემოხლის სურათს. გავრილოვის ცნობილი მოვლენების შედეგად ჩვენი ქვეყანა ისედაც უზარმაზარ ზარალს განიცდის. ეს ყველაფერი კარგად არის დაგეგმილი ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. არავის აწყობს აზიური გაზის დერეფნად საქართველოს გადაქცევა. მოგეხსენებათ, ეს პროექტი გულისხმობს თურქმენეთის ჩართვასაც და დიდ მოცულობებზე გადის, რაც, განსაკუთრებით არ მოსწონს ჩვენს ჩრდილოელ და სამხრეთელ მეზობელს, აქ არ ვგულისხმობ თურქეთს. ამით საქართველო კიდევ ერთ ნაბიჯს გადადგამს ენერგოდამოუკიდებლობისკენ. ევროპის მომარაგება აზიური გაზით რუსეთის გვერდის ავლით საკმაოდ მტკივნეული პროცესია თვითონ რუსეთისთვის. ამიტომ რუსეთი უხვად დააფინანსებს მის მიერვე მართულ ჯგუფებს, რომლებსაც ანტირუსული რიტორიკა აქვთ, მაგრამ რუსეთის საქმეებს აკეთებენ.

ესაუბრა
ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲜᲝᲖᲐᲫᲔ

◎ დღეს მეგზევეთა დღეა

გზები, რომლებიც მომავლისკენ მიდიან

უპირველეს ყოვლისა, მინდა მეგზევეებს მივულოცო პროფესიული დღე. ეს საერთო სახალხო ზეიმია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ყოველ წელს აღინიშნება.

ეს დღე ძალიან მნიშვნელოვანია საგზაო დარგში მომუშავე პროფესიონალებისთვის, რადგან მეგზევეები ის ადამიანები არიან, რომლებიც დღე და ღამე, საქართველოს სხვადასხვა მხარეში თავდაუზოგავად შრომობენ და სწორედ ამ გმირული შრომის შედეგია ის თანამედროვე და მაღალი სტანდარტების საგზაო ინფრასტრუქტურა, რასაც ჩვენ ყველანი ერთობლივად ვაშენებთ.

საქართველოს გზებს საერთაშორისო და ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ისტორიული წყაროების მიხედვით, ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში სახმელეთო, საზღვაო და სამდინარო სავაჭრო გზების სისტემა კავკასიაზე გადმოდი-

ოდა. ტრანსკონტინენტური სავაჭრო-საქარავნო გზა, რომელიც „აბრეშუმის გზის“ სახელითაა ცნობილი, ისტორიულად ჩინეთში — სანძიანში იწყებოდა და ქალაქ დუნხუანიდან ორ განშტოებად მიემართებოდა დასავლეთისკენ. ორივე გზა შუა აზიაში, ქალაქ ყაშგარში იყრიდა თავს. აქედან კი გზის ერთი — სამხრეთი განშტოება, ჩრდილოეთის შუამდინარეთის ქვეყნების, მათ შორის, ბაბილონის გავლით ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქ ანტიოქიაში ჩადიოდა. გზის მეორე — ჩრდილოეთის განშტოება კი კასპიის ზღვის, კავკასიის ალბანეთისა (თანამედროვე აზერბაიჯანის) და საქართველოს (იმდროინდელი იბერიისა და კოლხეთის) გავლით ქალაქ ფაზისში (ფოთში), შემდეგ კი შავი ზღვით ევროპაში გადადიოდა. აბრეშუმის გზის მარშრუტში ჩართულობა ქვეყანაში გზებისა და ხელოვნური ნაგებობების განვითარებას მოითხოვდა. ჩვენს ქვეყანას გზებისა და ხელოვნური ნაგებობების მშენებლობის დიდი ისტორია რომ აქვს ამის დასტური დღემდე შემორჩენილი უძველესი თაღოვანი ხიდებია, ათეულობით საუკუნის შემდეგაც ამაყად რომ დგანან და მოქმედებენ.

საქართველოში საგზაო დარგის ინსტიტუციური განვითარების ქრონოლოგია შემდეგია. საქართველოში საგზაო ქსელის განვითარებაზე ზრუნავდნენ ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე და სხვა ქართველი მეფეები. თუმცა, საგზაო დარგის ინსტიტუციური განვითარების ოფიციალური სტატისტიკა მე-19 საუკუნიდან მოიპოვება.

1870-1917 წლებში ავტოსაჭაპანო გზებს მეთვალყურეობას კავკასიის საგზაო ოლქი უწევდა.

1923 წლიდან გზების მოვლა-შენახვას, მშენებლობასა და ავტოტრანსპორტის საქმის წარმართვას სრ გზატკეცილების, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველო — „საქგზატრანსი“ აწარმოებდა. 1933 წლიდან ამავე დანიშნულებას ახორციელებდა სსრ ცენტრალურ კომიტეტთან ჩამოყალიბებული „უგზოობასთან ბრძოლის“ რესპუბლიკური შტაბი.

1936-1938 წლებში მოქმედებდა ორი საგზაო ორგანო „უშოსდორი“ (საკავშირო გზებისთვის) და „გლავდორუპრი“ (რესპუბლიკური და ადგილობრივი გზებისთვის).

1953 წელს დაარსდა საბჭოთა კავშირის საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო.

1956 წელს შეიქმნა საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველო.

1968 წელს გზატკეცილების მთავარი სამმართველოს ბაზაზე შეიქმნა საქართველოს საავტომობილო გზების სამინისტრო, ხოლო 1989 წელს ტრანსპორტისა და საავტომობილო გზების სამინისტროების გაერთიანებით შეიქმნა საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტრო.

დღეს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და ხელოვნური ნაგებობების მშენებლობას, მოვლა-შენახვასა და ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, რომელიც სტრუქტურულად, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქვეუწყებო ორგანიზაციაა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გიორგი რობიტაშვილის ღვაწლი, როგორც საქართველოში საგზაო დარგის ერთ-ერთი ფუძემდებელის, რომელიც ქვეყნის საგზაო დარგს 45 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება, ცოდნა და გამოცდილება საქართველოს საავტომობილო გზების სრულქმნასა და განვითარებას მოახმარა.

1939 წელს, როდესაც დარგს სათავეში გიორგი რობიტაშვილი ჩაუდგა სქართველოს გზები ძირითადად ღორღოვანი და გრუნტოვანი საფარებით მოქმედებდნენ. 1939-1984 წლებში სწორედ მისი ხელმძღვანელობით დაიგო საქართველოში პირველი შავსაფარიანი გზები, აშენდა ათეულობით ხიდი და უნიკალური ხელოვნური ნაგებობა, რომლებიც დღემდე სრულფასოვნად რომ მოქმედებენ.

საქართველოს მეგზევეთა თაოსნობით 2020 წელს გიორგი რობიტაშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად დაწესდება „გიორგი რობიტაშვილის სახელობის“ პრემია, რომელიც ყოველწლიურად გადაეცემა საგზაო დარგის მოწინავე მუშაკს ან შემოქმედებით ჯგუფს. ასევე, დაწესდება გიორგი რობიტაშვილის სახელობითი სტიპენდია საგზაო დარგის წარჩინებული სტუდენტებისათვის, მაგისტრანტებისათვის, დოქტორანტებისათვის. გიორგი რობიტაშვილის საცხოვრებელი სახლის სადარბაზოსთან მოეწყობა მემორიალური დაფა.

საქართველოს მეგზევეთა საზოგადოების მიზანია საავტომობილო გზების დარგში გზების, ხიდების, გვირაბების და სხვა ხელოვნური ნაგებობების მშენებლობისა და მოვლა-შენახვის ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის გატარებისთვის ხელშეწყობა, საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავება, ახალი სტრატეგიული მიმართულებების და დარგისთვის საჭირო ნორმატიული დოკუმენტაციის შემუშავებაში აქტიური მონაწილეობის მიღება, ეკონომიკური, ეკოლოგიური და ეროვნული მიზნების გათვალისწინებით და დარგში თანამედროვე ტექნოლოგიების პოპულარიზაცია.

კიდევ ერთხელ უნდა მოგილოცოთ დღევანდელი დღე და გისურვოთ წარმატებები პირად და პროფესიულ ცხოვრებაში!

თამაზ შილაკაძე,
საქართველოს მეგზევეთა საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ტრანსპორტის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი.

გიორგი ანწუხელიძისა და მერაბ ახობაძის მეუღლეები მატყუარებმა გააღიზიანეს...

სოციალურ ქსელში ყოფილი სამხედრო და ამჟამად „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ბესო ქათამაძე ცრუ ინფორმაციას ავრცელებს, თითქოს ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში გმირების ფოტოები ჩამოხსნეს. მის მიერ გავრცელებულ სიცრუეს დაღუპული სამხედროების მეუღლეები, მათ შორის გიორგი ანწუხელიძის მეუღლე მაკა ჩიკვილაძე ეხმაურება. საქართველოს ეროვნული გმირის მეუღლე პოსტის ავტორს მოუწოდებს, ნუ შეჰყავს საზოგადოება შეცდომაში:

> **„სოციალურ ქსელში ზოგიერთი მომხმარებელი ავრცელებს ინფორმაციას, თითქოს, მე-4 ბრიგადაში გმირების ფოტოები ჩამოხსნეს, რაც სიმართლე არ არის. ნახსენებია ჩემი მეუღლე გიორგი ანწუხელიძე... სინამდვილეში, ყველა სამხედრო ნაწილში მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის სარემონტო სამუშაოები, შესაბამისად, გმირების სტენდებიც ახლდება... გთხოვთ, მოსახლეობას ნუ შეიყვანთ შეცდომაში... სანამ საქართველო არსებობს, გმირებიც არსებობენ! ეს უკვე მე-4 ბრიგადის შტაბში გმირების განახლებული სტენდია“,** — წერს ეროვნული გმირის გიორგი ანწუხელიძისმეუღლე.

2008 წლის ომში დაღუპული მე-4 ქვეითი ბრიგადის კაპიტან მერაბ ახობაძის მეუღლე თამუნა რამიშვილი კი ცრუ პოსტის ავტორს ინტრიგნად მოიხსენიებს: **„ეს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ჰგონია, რომ მეოთხე ბრიგადაში დაღუპული ბიჭების ფოტოები „ჩამოყარეს — როგორ არ დაიღალეთ ამდენი ინტრიგნობით“,** — წერს კაპიტან მერაბ ახობაძის მეუღლე თამუნა რამიშვილი.

მხილება:

ქართულ სამშენებლო ბიზნესში უცხოური კომპანიები დომინირებენ!

ქართულ სამშენებლო სექტორში უცხოური კომპანიების დომინირებაზე „კომერსანტმა“ სხვადასხვა მხარის პოზიციები არაერთხელ გააჟღერა. ამჯერად ყოფილი მინისტრებისა და საავტომობილო დეპარტამენტის მაღალჩინოსნების პოზიციით დავინტერესდით. უფრო კონკრეტულად კი, რატომ გაქრნენ ადგილობრივი კომპანიები სამშენებლო სექტორიდან მაშინ, როდესაც წლების წინ ქვეყანაში არსებული სამუშაოების 80 პროცენტს ქართული კომპანიები ასრულებდნენ? ამ კითხვებით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ყოფილ თავმჯდომარეს გიორგი სეთურიძეს და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ყოფილ მინისტრს ნოდარ ჯაფარიძეს მივმართეთ.

ყოფილი მინისტრი ამჟამად აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის მოადგილის პოზიციას იკავებს, რომელმაც მიუხედავად იმისა, რომ დარგის განვითარებაზე პასუხისმგებელი პირველი პირი იყო, საკითხის შეფასებისგან თავი შეიკავა.

„კერძო კომპანიებთან არანაირი შეხება არ მაქვს და რამე ისეთს თუ ვიტყვი, რომ ვინმეს არ მოეწონოს, ეს იქნება სახელმწიფოს მაკონტროლებელი სტრუქტურიდან გარკვეული ზეწოლა. შეიძლება ადრე მეხებოდა ინფრასტრუქტურა, მაგრამ იგივენაირად, მე შეიძლება გუშინ მოჭადრაკე ვიყავი, მაგრამ სხვა პოსტიდან ყველაფერი სხვანაირად ფასდება“, — ამბობს ნოდარ ჯავახიშვილი.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ყოფილ თავმჯდომარე **გიორგი სეთურიძეს** პრობლემა თვალშისაცემად ეჩვენება, თუმცა, მსხვილი ელიტური კომპანიების დომინირებას, ტენდერებში არათანაბარ კონკურენციას კატეგორიულად უარყოფს. ამბობს, რომ კომპანიები არ გამქრალან, ბევრი ქართული კომპანია ბოლო წლების მანძილზე განვითარდა, თუმცა მსხვილ ტენდერებში მათი სირთულის და სიდიდის გამო ვერ მონაწილეობენ.

„თუ სახელმწიფოს აქვს მილიარდი ლარის სახელმწიფო პროექტი სატენდეროდ, არ უნდა ჩაწეროს მოთხოვნებში, რომ კომპანიას უნდა ჰქონდეს მინიმუმ მისი ნახევარი პროექტის განხორციელების გამოცდილება? არაკონკურენტულ გარემოს ამ სექტორში არ ვადასტურებ. ბევრი კომპანია მონაწილეობს სამშენებლო ტენდერებში და ვინც არ მიიღო მონაწილეობა, იმათ ვკითხოთ. დღევანდელი სატენდერო შემოთავაზებების სატენდერო ფასი ყველაზე დაბალია მეზობელ ქვეყნებთან შედარებით. ეს ნიშნავს, რომ ჩრდილოვანი ფაქტორები არის მინიმალური ან საერთოდ არ არის, ჩვენთან წარმატებულად დასრულებული პროექტები ზუსტად იგივე ხარისხით და საერთაშორისო ნორმატივებით სრულდება“, — აღნიშნავს სეთურიძე.

იხ. 9 გვ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ, ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ ᲠᲝᲘᲜ ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲡ

ᲦᲠᲛᲐᲓ ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲠᲝᲘᲜ!

მიიღეთ ჩემი გულწრფელი მოლოცვა 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

თქვენ ცნობილი მეცნიერი ბრძანდებით, საქართველოს ისტორიისა და ქართული ისტორიოგრაფიის სფეროში თქვენმა ღრმა გამოკვლევებმა სამეცნიერო საზოგადოებაში მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ფართო შემოქმედებით მოღვაწეობას თქვენ წარმატებით უთავსებთ სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობას საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე. ასევე ენერგიას არ იშურებთ საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარებისათვის. სიამოვნებით გავუსვამ ხაზს, რომ თქვენი ნაყოფიერი მოღვაწეობა მთელი რიგი სახელმწიფო და სამეცნიერო ჯილდოებითა და პრემიებით აღინიშნა.

ბატონო როინ, ამ საზეიმო დღეს გისურვებთ ჯანმრთელობას, ყველა სიკეთეს, შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს მეცნიერების საკეთილდღეოდ!

ღრმა პატივისცემით,

ᲑᲝᲠᲘᲡ ᲞᲐᲢᲝᲜᲘ,

უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი

ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲠᲝᲘᲜ!

ᲛᲝᲡᲣᲚᲐ თქვენი ოთხმოცი წლისთავი. სულითა და გულით გილოცავთ!

რა არის ოთხმოცი წელი? — ჯერ კიდევ დრო იქნება ახალი ძიებებისათვის: იდღეგრძელეთ!

მგონი, გახსოვთ საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კოლოკვიუმი პარიზში, იუნესკოში, 1998 წელს. თქვენ პირველი გამოხვედით, მერე ჩემი უფროსი გიორგი შარაშიძე. თქვენი საერთო საუბრის შემდეგ ბ-ნმა გიორგიმ თქვენზე ბრძანა: ასეთი ნიჭიერი კაცი, შეიძლება იყოს საქართველოს პრეზიდენტიო. ასე არ მოხდა, მაგრამ თქვენ ხართ საქართველოს აკადემიის გვირგვინი, ნაყოფიერი ისტორიკოსი და თქვენი სახელი დარჩება ისტორიაში.

დიდხანს იბედნიერეთ!

ღრმა პატივისცემით, თქვენი ძველი მეგობარი

ᲑᲔᲠᲜᲐᲠ ᲣᲤᲘᲔ,

აკადემიკოსი, საფრანგეთი

ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲣᲚᲘᲡ ᲘᲓᲔᲐᲚᲘ

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს,

პროფესორ როინ მეტრეველს

ღრმად პატივცემულო ბატონო როინ!

მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალათასიანი კოლექტივის და პირადად ჩემი სახელით გულითადად გილოცავთ 80 წლის იუბილეს!

თქვენ მსოფლიო სახელის მქონე ცნობილი მეცნიერი-ისტორიკოსი, საქართველოს ისტორიის გამოჩენილი სპეციალისტი, მეცნიერების ნიჭიერი ორგანიზატორი, თავისი საქმის ოსტატი და უბრალოდ — შესანიშნავი, გულღია ადამიანი ბრძანდებით. ამ ღირსშესანიშნავ დღეს მინდა, გამოვხატო ჩემი ღრმა პატივისცემა, აღტაცება და მადლიერება თქვენი მრავალწლიანი კეთილშობილი ფასდაუდებელი მოღვაწეობისთვის, სულის სიძლიერისა და გულითადობისთვის.

ცხოვრებასა და პროფესიაში თქვენ წარმატებისკენ მიმავალი ყველაზე მარტივი გზა იპოვეთ — ყოველთვის უცვლელი სიყვარულითა და ერთგულებით ეკიდებით საყვარელ საქმეს. თქვენ განასახიერებთ ნამდვილი სწავლულის იდეალს, რომელმაც მთელი ცხოვრება მეცნიერების სამსახურსა და განათლებას მიუძღვნა.

ძალზე მოხარული ვარ, რომ მე და თქვენ მრავალი წლის განმავლობაში მხარდამხარ მოვდივართ და ჩვენს საერთო მისწრაფებებს, იდეებსა და ჩანაფიქრებს ხორცს ვასხამთ. ჩემთვის უდიდესი პატივია, ვიცოდე, რომ მეცნიერული ცოდნის შენარჩუნებისა და გამდიდრების ველზე ჩვენ კეთილ და საიმედო მეგობრებად ვრჩებით. ბატონო როინ, ამ საიუბილეო დღეს ნება მომეცით, გისურვოთ ჯანმრთელობა, ბედნიერება, კეთილდღეობა, სულის სიმხნევე და ყველა დასახული გეგმის განხორციელება მეცნიერების საკეთილდღეოდ!

ღრმა პატივისცემით,

ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲡᲐᲓᲝᲕᲜᲘᲩᲘ,

მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი

„ᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲛᲝᲙᲚᲔᲓ ᲘᲗᲥᲛᲘᲡ“...

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘᲐ ᲠᲝᲘᲜ ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘᲡ წვლილი საქართველოს ისტორიის მიმართ, მათ შორის მისი წიგნი „მეფე თამარი“. აგრეთვე მისი თანადგომა ქართული ენციკლოპედიისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიმართ.

ვულოცავ 80 წლისთავის იუბილეს და ვუსურვებ მისი სხვა ჩანაფიქრების დაგვირგვინებას. მოგეხსენებათ, „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“.

გულითადად,

ᲒᲐᲡᲢᲝᲜ ᲒᲣᲐᲩᲘᲫᲔ

მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი



ᲓᲘᲓᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲦᲕᲐᲬᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სახელით გულითადად ვულოცავთ სახელოვან მამულიშვილს, მეცნიერების თვალსაჩინო მოღვაწეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, აკადემიკოს როინ მეტრეველს 80 წლის იუბილეს და მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 55 წლისთავს.

დიდია აკადემიკოს როინ მეტრეველის ღვაწლი ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარებაში.

ბატონი როინის, როგორც მეცნიერისა და მკვლევარის, მოღვაწეობა ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში დაიწყო და დღემდე დიდი წარმატებით გრძელდება. 1965 წელს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: **„სახელმწიფოებრივი რეფორმები XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოში“**. იმავე წლიდან იგი ლექციებს კითხულობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. აღნიშნულ პერიოდში სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად აკადემიკოსი რ. მეტრეველი აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობასაც ეწევა. 35 წლის ასაკში მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია **„შინაკლასობრივი ბრძოლა შუა საუკუნეების საქართველოში“**, რომელიც საქართველოს ისტორიის საკითხებზე მიძღვნილ ნაშრომთა შორის, ჭეშმარიტად ითვლება ერთ-ერთ საუკეთესოდ.

აკადემიკოსი რ. მეტრეველი წლების განმავლობაში ბრძანდებოდა ქართული ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორის მოადგილე, ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ქართულ სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. იყო ჟურნალ „მაცნეს“ ისტორიის სერიის რედაქტორი და თსუ-ის ისტორიის კათედრის გამგე. აღნიშნულ სამსახურებრივ თანამდებობაზე ყოფნისას მან სრულად გამოავლინა დიდი ორგანიზატორული ნიჭი და თანამედროვე ხედვები მნიშვნელოვანი მეცნიერული და პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტისადმი.

განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა აკადემიკოს როინ მეტრეველის მოღვაწეობა რექტორის თანამდებობაზე ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამ პერიოდში უნივერსიტეტში აღდგა სამედიცინო ფაკულტეტი, უნივერსიტეტი სრულად გადავიდა სწავლების სამსაფეხურიან სისტემაზე. შეიქმნა ათამდე სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია და სამეცნიერო ცენტრი. ჩამოყალიბდა ახალი კათედრები, გაიზარდა საგარეო კავშირები უცხოეთის უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო ცენტრებთან. მისი თაოსნობით და ხელმძღვანელობით უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში აშენდა წმ. დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძარი, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ აკურთხა.

1993 წლიდან დღემდე აკადემიკოსი როინ მეტრეველი მოღვაწეობს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, იკავებს რა ჯერ აკადემიკოს-მდივნის, ხოლო მოგვიანებით, ვიცე-პრეზიდენტის პოზიციას.

აკადემიკოს როინ მეტრეველის სამეცნიერო მოღვაწეობა ფართოდაა ცნობილი და აღიარებული არა მარტო ქართველი, არამედ უცხოელი მეცნიერების მიერაც. მას გამოქვეყნებული აქვს 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა შორის აღსანიშნავია „დეკლასირებული ელემენტები შუა საუკუნეების საქართველოში, გლახაკები“, „დავით IV აღმაშენებელი“, „მეფე თამარი“. მისი რედაქტორობით გამოცემულია მრავალი სამეცნიერო კრებული და მონოგრაფია.

ფასდაუდებელია აკად. როინ მეტრეველის ღვაწლი ახალგაზრდა მეცნიერთა გაზრდის საქმეშიც. აზიარებს რა მათ ქართული ისტორიული მეცნიერების საფუძვლებს, ბატონი როინი დამწყებ მეცნიერებს კვლევებისადმი ახლებურ მიდგომებს, თითოეული საკითხის სიღრმისეულ გააზრებას ასწავლის.

აკადემიკოსი როინ მეტრეველი გახლავთ ევრაზიის უნივერსიტეტების გენერალური ასამბლეის მთავარი კომიტეტის და კალიფორნიის (აშშ) ხელოვნების, მეცნიერებისა და განათლების საერთაშორისო აკადემიის წევრი.

მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების სფეროში გაწეული ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობისათვის აკადემიკოსი როინ მეტრეველი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, საქართველოს საპატრიარქოს ოქროს ჯვრით, ფრიტიოფ ნანსენის საპატიო მედლითა და სხვა მრავალი პრემიითა თუ სიგელით. ბატონი როინ მეტრეველი გახლავთ თბილისისა და ქუთაისის საპატიო მოქალაქე.

ყოველივე აღნიშნული მეტად მწირი ჩამონათვალია იმ სამეცნიერო, საგანმანათლებლო თუ საზოგადოებრივი საქმიანობისა, რომელსაც ეწეოდა და დღესაც დიდი ენთუზიაზმითა და ახალგაზრდული შემართებით ეწევა ბატონი როინი. მისი სახელი დამსახურებულად იკავებს საპატიო ადგილს გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა შორის.

კიდევ ერთხელ ვულოცავთ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს აკადემიკოს როინ მეტრეველს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობასა და შემოქმედებით წარმატებას ჩვენი ქვეყნისა და ქართული მეცნიერების საკეთილდღეოდ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ

ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲠᲝᲘᲜ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიის მთელი შემადგენლობა გილოცავთ დაბადებიდან 80 და პრაქტიკული სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წლის იუბილეს.

გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და თქვენი ჩვეული მეცნიერული შემართებით ახალ-ახალი წარმატების მოპოვებას ჩვენი ქვეყნისა და ერის წარსული დიდების ისტორიის მეცნიერულ კვლევა-ძიებასა და პრაქტიკულ საქმიანობაში.

პატივისცემით

ᲖᲝᲗᲐ ᲤᲐᲤᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

აკადემიის პრეზიდენტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი, პროფესორი.

საამაყო მამულიშვილი

საქართველოს კულტურის ფონდი და მისი პრეზიდიუმი ვულოცავთ ფონდის ერთ-ერთ დამფუძნებელს, საამაყო მამულიშვილსა და დიდ მეცნიერს, საქართველოს ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, ბატონ როინ მეტრეველს დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს ქართველი ერის საკეთილდღეოდ.

დიდი პატივისცემით,

თამაზ შილაკაძე,

საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე

გამონაკლისი პიროვნება, რომელსაც...

ბატონ **როინ მეტრეველის ბიოგრაფია მდიდარია და მრავალწახნაგოვანი. მათ შორის ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი მოღვაწეობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე 1991-2004 წლებში.**

უმძიმეს პერიოდში მოუწია ბატონ როინს ამ ტვირთის ზიდვა. ივანე ჯავახიშვილის მიერ ქართული უნივერსიტეტის დაარსება ხომ ყველაზე სანუკვარი მოვლენა იყო მე-20 საუკუნის საქართველოს ისტორიაში, ამიტომ, ამ უმძიმეს პერიოდში მთელი საქართველო იმედის თვალით შესცქეროდა ეროვნულ უნივერსიტეტს, შვებას მისგან მოელოდა. ჯერ ერთი, საზოგადოებაში არსებობდა დიდი განხეთქილება , რომელიც, ბუნებრივია, უნივერსიტეტსაც შეეხო. აქ თანამშრომელთა, აგრეთვე, სტუდენტობის დიდი ნაწილი დაყოფილი იყო ე.წ. „ზვიადისტებად“ და „დანარჩენებად“, რაც უნივერსიტეტის გაძღოლას საგრძნობლად ამძიმებდა.

ბატონი როინის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მთელი რიგი დიპლომატიური ნაბიჯებით შეძლო ამ დაპირისპირებულობის განეიტრალება და სრული თანხმობის დამყარება. დიდ სამეცნიერო საბჭოს გაამახვილებინა ყურადღება იმაზე, რომ უნივერსიტეტი უნდა იყოს აპოლიტიკური ორგანიზაცია. აიკრძალა ცალკეული პარტიების „თარეში“ უნივერსიტეტის აუდიტორიებში, ჩაატარა არჩევნები, განახლდა რექტორატი, ფაკულტეტების დეკანების კორპუსი, ყველა თანამდებობის პირს მკვეთრად განესაზღვრა მისი უფლება-მოვალეობანი, რომელთა შესრულებას მკაცრად აკონტროლებდა სამეცნიერო საბჭოს მეშვეობით. ეს უკანასკნელი მართავდა უნივერსიტეტს, რომელიც სისტემატურად იკრიბებოდა თვეში ერთხელ, ხოლო საბჭოს სხდომებს შორის საქმიანობას უძღვებოდა გაფართოებული რექტორატი. მართვის ამ დემოკრატიულმა მეთოდებმა დიდი ნდობით აღჭურვა უნივერსიტეტის მთელი კოლექტივი და ურთიერთდაპირისპირებულობამ ადგილი დაუთმო ურთიერთგაგებასა და ურთიერთპატივისცემას.

ბატონი როინი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა თანამშრომლების და სტუდენტების მიმართ, ჭირში თუ ლხინში გვერდით ედგა მათ, მატერიალურად ეხმარებოდა გაჭირვებულ ოჯახებს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში ფეხმოკიდებულმა კორუფციამ უნივერსიტეტი ვერ ჩაითრია ჭაობში. მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალური მოძრაობა ქმნიდა იმის ილუზიას, რომ თითქოს უნივერსიტეტში ირღვეოდა კანონები და ფეხი მოიკიდა კორუფციამ.რაოდენ სასაცილოა ამის თქმა, როცა 2004 წლამდე საქართველოს არც კი ჰქონდა უმაღლესი განათლების კანონი. უნივერსიტეტის და მისი რექტორის საამაყოდ უნდა ითქვას, რომ მან არანაირი სიბინძურე არ გაიკარა. უმძიმეს დროსაც კი, როცა იყო უსინათლობა, სიცივე აუდიტორიებში, უნივერსიტეტში ლექცია არ გაცდენილა.

ბატონ როინის რექტორობის პერიოდში სახელმწიფო უნივერსიტეტებს დროებითმა ხელისუფლებამ მიანიჭა რეალური ავტონომიურობა, რამაც სასწავლებლების ხელმძღვანელობას და პროფესორ-მასწავლებელთა კოლექტივს ფართო გასაქანი მისცა გონივრული გარდაქმნების ჩასატარებლად. 1994 წლის 24 აპრილს ბატონი როინის თაოსნობით უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ მიიღო ისტორიული დოკუმენტი – „საქართველოს საუნივერსიტეტო განათლების კონცეფცია“, რომელიც გულმოდგინედ იქნა მომზადებული უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ, საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით. „კონცეფციამ“ განსაზღვრა უნივერსიტეტის სტრუქტურა, დანიშნულება, მიზნები და მათი განხორციელების გზები. უნივერსიტეტში პირველად, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, რუსეთის ჩათვლით, შემოღებულ იქნა მრავალსაფეხუროვანი (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, ასპირანტურა) სწავლების ფორმები, განისაზღვრა თითოეული საფეხურის ამოცანები და სასწავლო გეგმები. ივ.ჯავახიშვილის უნივერსიტეტი გახდა ჭაშმარიტად ევროპული ყაიდისა, რომელშიც თანაბარ დონეზე იდგებოდა როგორც ჰუმანიტარული, ასევე საბუნებისმეტყველო და სამათემატიკო განათლება. აღდგა სამედიცინო ფაკულტეტი. საბუნებისმეტყველო ფაკულტეტებზე დაიგეგმა ჰუმანიტარული დისციპლინების სწავლება გარკვეული დოზით და, პირიქით, ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე საბუნებისმეტყველო დისციპლინების სწავლება, და ეს ყველაფერი განხორციელდა კიდეც. მაგისტრატურის შემოღებამ განაპირობა ის, რომ უნივერსიტეტმა არა მარტო შეინარჩუნა ადრინდელ (საბჭოურ) წლებში მიღწეული დონე, არამედ შეძლო განევითარებინა კიდეც მეცნიერება და ღირსეულად ჩამდგარიყო მსოფლიოს მოწინავე უნივერსიტეტების ოჯახში. 2004 წლის „რეფორმის“ წინ უნივერსიტეტის თანამშრომლებს ჰქონდათ მოგებული უცხოური გრანტები 2 მილიონ დოლარზე მეტი ოდენობით.

რომ არ მომხდარიყო ივ.ჯავახიშვილის უნივერსიტეტის არასიმეტრიული განვითარება სხვა სახელმწიფო უნივერსიტეტებთან მიმართებაში, ბატონმა როინმა, ისარგებლა რა მინიჭებული ავტონომიურობის პრინციპებით, დააარსა უნივერსიტეტების რექტორთა საბჭო, რომელიც სისტემატიურად განიხილავდა საუნივერსიტეტო მოძრაობის შემდგომ მიმართულებებსა და განვითარების გზებს. ამის საფუძველზე ყველა უნივერსიტეტს შეექმნა თანაბარი პირობები განვითარებისათვის.

ბატონი როინი ყველაზე მეტხანს ედგა უნივერსიტეტს სათავეში და, როგორც ეტყობა, ყველაზე მეტიც გააკეთა. ამ პერიოდში უფრო მეტად გამოჩნდა და გაიზარდა მისი დიდი ორგანიზატორული ნიჭი. დღეს ბატონი როინი 80 წლისაა. უნივერსიტეტის პერიოდი მისი მოღვაწეობის მხოლოდ ერთი, მნიშვნელოვანი მხარეა. მან უკვე შეასრულა რამდენიმე დიდი ადამიანის საქმე. ასაკის მიუხედავად, იგი არის საკმაოდ მხნედ, საღად და შემართებით განაგრძობს ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას. მის თანამედროვეთა აზრით დღეს ბატონი როინი არის ის გამონაკლისი პიროვნება, რომელსაც ძალუძს ფეხზე დააყენოს განათლების და მეცნიერების ურთულესი საქმე ჩვენს ქვეყანაში.

ანზორ ხელაშვილი,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

არ გადავადება,

თუმცა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართული კლინიკებისთვის შეესაძლოა, ტარიფები შეიცვალოს

ჯანდაცვის **სფეროს წარმომადგენლებსა და პრემიერ-მინისტრს შორის გამართული შეხვედრა კონკრეტული შედეგით დასრულდა. კერძოდ, როგორც მედიკოსებმა განაცხადეს, ხვალიდან ჯანდაცვის სამინისტროში შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდება ჯანდაცვის სამინისტროსა და კლინიკების ფინანსისტებით. ჯგუფში ასევე შევლენ პროფესიული გაერთიანებების წევრები.**

ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლების თქმით, მთავრობის 520-ე დადგენილება, რომელიც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართული კლინიკებისთვის ტარიფის გათანაბრებას ეხება, არ გადავადდება, თუმცა ზემოაღნიშნული ჯგუფი ტარიფების შეცვლაზე იმუშავებს. როგორც „ევექსის“ კლინიკების ქსელის დირექტორმა გიორგი მინდიაშვილმა აღნიშნა, შეთანხმება შედგა და ხვალიდან სამინისტროში შეიქმნება სამუშაო ჯგუფი.

„ვფიქრობ, რომ შექმნილ სიტუაციაში ეს კონსტრუქციული და გონივრული გამოსავალია“, – განაცხადა გიორგი მინდიაშვილმა.

როგორც კლინიკა „ღია გულის“ აღმასრულებელმა დირექტორმა დავით მიქელთაძემ აღნიშნა, პრემიერთან შეხვედრა კონსტრუქციულ რეჟიმში წარიმართა.

„პრემიერმა ძალიან ყურადღებით მოგვისმინა და საკითხი გადაიხედება. გადავადება არ ხერხდება ამ ეტაპზე, მაგრამ როგორმე რაღაც კონსენსუსამდე უნდა მივიდეთ, რათა არ დაზარალდნენ პაციენტები. მიღებულია გადაწყვეტილება, ჩვენი ფინანსისტები და ჯანდაცვის სამინისტროს ფინანსისტები ერთად გაივლიან ამ ტარიფებს. თუ სადმე რამე პრობლემაა, შევეცდებით, აღმოიფხვრას“, – განაცხადა დავით მიქელთაძემ.

როგორც ანგიოლოგთა და სისხლძარღვთა ქირურგთა ასოციაციის პრეზიდენტი ზაზა ლაზარაშვილი აცხადებს, გადავადებაზე იყო უარყოფითი დამოკიდებულება,რადგან პროგრამა უნდა განვითარდეს.

„პრემიერი დაგვპირდა, რომ უმოკლეს ვადაში, რამდენიმე დღეში პრინციპულ საკითხს განიხილავს. ასევე, დავალება მიეცა ჯანდაცვის მინისტრს, უმოკლეს ვადებში გასწორდეს უზუსტობები და შეცდომები, რაც არის ტარიფებში. ითქვა, რომ შეცდომები უნდა გასწორდეს და ლოგიკური ტარიფები შემუშავდეს“, – განაცხადა ზაზა ლაზარაშვილმა.

საქართველოს კარდიოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტის ალექსანდრე ალადაშვილის განცხადებით, „კონფლიქტების დარეგულირების საქმეში პრემიერ-მინისტრმა გამოაჩინა დიდი ტალანტი“.

„შევთანხმდით, რომ უნდა დავიწყოთ აქტიური თანამშრომლობა, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შევლენ სამინისტროს თანამშრომლები, ასევე პროფესიული გაერთიანებების, საზოგადოებების წარმომადგენლები და საჭიროა სტანდარტების შემუშავება“, – განაცხადა ალექსანდრე ალადაშვილმა.

„პინეო სამედიცინო ეკოსისტემის“ ხელმძღვანელმა ზაზა სინაურიძემ აღნიშნა, პრემიერ-მინისტრთან შეხვედრა იყო საკმაოდ კონსტრუქციული და საინტერესო.

„აღმოჩნდა, რომ დადგენილების ექვსი თვით გადადება არ განიხილება, მაგრამ იქ არის რაღაც ინსტრუმენტები, რომლებიც შეიძლება, გამოყენებული იქნას, არა ექვს თვეზე, არამედ სამ თვეზე. აი, ამის პასუხს ველოდებით ჩვენ ორ-სამ დღეში. საუბარია ასევე, რა პრინციპით უნდა დაგინდეს ტარიფი. ჰაერიდან ხომ არ შეიძლება ავიღოთ ციფრები. ჯერ მოხდება ტარიფების დათვლა და რამდენად დაკორექტირდება, ამას დრო გვაჩვენებს. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ იქნება ორმხრივი მუშაობა და არ იქნება მხოლოდ ჯანდაცვის სამინისტრო წარმოდგენილი“, – განაცხადა ალექსანდრე ალადაშვილმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ **საყოველთაო ჯანდაცვის რეფორმის პრინციპებს სჭირდება განვითარება, რომლის მთავარი ამოსავალი, მოქალაქე, პროგრამის ეფექტურობა და დარგზე ზრუნვა იქნება.**

ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის ოჯახი გაეროს უმაღლესი კომისრის ჩართვას ითხოვს

ცხინვალის **რეჟიმის მიერ ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის დაკავებიდან ზუსტად ერთი თვე გავიდა. ოჯახის წევრებმა რამდენიმე მოთხოვნა გააჟღერეს. ექიმის მეუღლე და შვილები ითხოვენ, რომ ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატი მაქსიმალურად გამოიყენონ ვაჟა გაფრინდაშვილის გასათავისუფლებლად. ასევე, ყველა მხარესთან მოლაპარაკებებში ჩაერთოს გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარი.**



გაფრინდაშვილის ოჯახი ხელისუფლებას მეტი ქმედითი ნაბიჯების გადადგმისა და უწყებათაშორისი საგანგებო საკოორდინაციო კომისიის შექმნისკენ მოუწოდებს. ვაჟა გაფრინდაშვილის ოჯახი ჟენევის მოლაპარაკებებში მონაწილე პირებს სთხოვს, გამოიყენონ ყველა ბერკეტი, რათა მოხდეს შეთანხმება და ექიმი დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს. მათივე ინფორმაციით, ხვალ ჟენევაში შეხვედრის პარალელურად ვაჟა გაფრინდაშვილის მხარდამჭერი აქცია გაიმართება.

რა უნდათ ფრანგულ ხომალდებს შავ ზღვაში?

ნატო რუსეთს კატათაგვობანას ეთამაშება

სტატიაში გადმოცემულია საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის გემის, კორვეტ „Commandant Birot"-ის პატრულირება შავ ზღვაში, ქერჩის სრუტესთან ახლოს, ბათუმის ნავსადგურში შესვლა და ქართველ მეზღვაურებთან სამხედრო სწავლების ჩატარება. მასში განხილულია აგრეთვე შავი ზღვის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა, რუსეთის, თურქეთისა და ნატოს ინტერესები.

გთავაზობთ პუბლიკაციას მცირე შემოკლებით:

„საჰაერო განგაში!", — ჰორიზონტზე რუსული თვითმფრინავი-ამფიბია B-12 გამოჩნდა და მცირე სიმაღლეზე ნელ-ნელა პატარა ფრანგულ კორვეტ „Commandant Birot"-ს უახლოვდება. „პირდაპირ ჩვენკენ მოფრინავს", — ამბობს კაპიტან-ლეიტენანტი უგო, რომელიც ხელით იჩრდილავს ნოემბრის მკრთალი მზის სხივებს. მეზღვაურები გემბანზე გამოეფინნენ და „ღიპიან" ამბიფიას ფოტოსურათებს უღებენ. თვითმფრინავმა კორვეტს ასიოდე მეტრის სიშორით ჩაუფრინა...

ფრანგული გემი შავ ზღვაში პატრულირებას ეწევა და სიტუაციას თვალს ადევნებს, — ამბობს კაპიტანი მაქსიმ ლერუა, ხომალდის მეთაური, რომელზეც „ფრანს-პრესის" ჟურნალისტიც იმყოფება. მან გემზე ასვლა გასულ კვირას მოახერხა, ბათუმსა და ოდესას შორის გაჩერებაზე, ნატოს ლონდონის სამიტამდე რამდენიმე დღით ადრე. საფრანგეთის მტკიცებით, პარიზი ისწრაფვის, რომ შავი ზღვის აკვატორიაში ზღვაოსნობის თავისუფლება დაიცვას, ანუ იქ, იმ ადგილში, სადაც რუსეთის ყოფნა მწვავედ იგრძნობა.

პოლიტიკური დაპირისპირების სივრცე

შავი ზღვა, რომლიდანაც ერთადერთი გასასვლელი სამხრეთით ბოსფორის სრუტეა (მას თურქეთი აკონტროლებს) და ჩრდილოეთით — ქერჩის სრუტე (რომელიც დე ფაქტოდ რუსეთის კონტროლქვეშაა), რუსეთისა და ნატოს გავლენის გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინს წარმოადგენს, თანაც იმ ფონზე, როცა მოსკოვისა და ანკარას ერთმანეთთან დაახლოების პროცესი მიმდინარეობს და რუსეთ-უკრაინას ერთმანეთთან ყირიმის გამო კონფრონტაცია აქვთ.

„რუსეთი შავ ზღვას ერთგვარ ბასტიონად თვლის, — ამბობს **იგორ დელანოე,** ფრანგულ-რუსული კვლევითი ცენტრის თანამშრომელი, — **იმავდროულად შავი ზღვის აკვატორია მოსკოვ-ნატოს გეოპოლიტიკური დაპირისპირების სივრცესაც წარმოადგენს: შავიზღვისპირა ექვსი ქვეყნიდან სამი უკვე ნატოს წევრია (თურქეთი, ბულგარეთი, რუმინეთი), ხოლო ორს ალიანსში გაწევრიანება სურს (საქართველოს და უკრაინას). XIX-XX საუკუნეებში შავი ზღვა ორი სახელმწიფოს (ჯერ ოსმალეთის და რუსეთის იმპერიების, შემდეგ კი თურქეთისა და სსრ კავშირის) გავლენის სფეროში იმყოფებოდა და მიუხედავად იმისა, რომ XXI ასწლეულში სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა — რუსეთს მოკავშირეები თითქმის აღარ ჰყავს, ნატოს წევრები და პრონატოური ქვეყნები კი მომრავლდნენ — „რუსეთმა ამჟამად შავი ზღვის აკვატორიის კონტროლი აშკარად დაიბრუნა, კერძოდ, ყირიმის ანექსიის შედეგად 2014 წელს",** — ხაზს უსვამს ექსპერტი.

„ყირიმის ნახევარკუნძული იმ სახმელეთო „ავიამზიდად" შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომლის მეშვეობითაც რუსეთს მთელი საზღვაო ზონის გვალენა-გაკონტროლება შეუძლია", — ამბობს დიპლომატიური წყარო, რომელიც მიუთითებს ყირიმში სევასტოპოლის (რუსეთის ქალაქი XVIII საუკუნიდან) ირგვლივ მდებარე ტერიტორიის უკიდურეს მილიტარიზაციაზე: სანაპირო საარტილერიო და სარაკეტო-საზენიტო ბატარეებზე, ანტირაკეტული თავდაცვის საშუალებებზე... **„რუსები შავ ზღვაში თავს უშიშრად და მტკიცედ გრძნობენ",** — ამატებს **იგორ დელანოე.** მისი თქმით, რუსეთი თავის სასარგებლოდ აქტიურად იყენებს ბოსფორ-დარდანელის სრუტეებსაც, სირიის სამხედრო თეატრში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

„მივიტყუოთ რუსები და ვნახოთ, რას გააკეთებენ"

თვითმფრინავ-ამფიბიის „ვიზიტის" შემდეგ რამდენიმე საათში კორვეტ „Commandant Birot"-ს ახალი სტუმარი ეწვია — ჰორიზონტზე რუსული საზღვაო გამანადგურებელი „სუ-33" გამოჩნდა. როგორც მოგვიანებით ხომალდის ზემდეგი ჯერემი კამიუ აღნიშნავდა, **„რუსული თვითმფრინავის ერთ-ერთი რადარი ჩვენმა ოპერაციულმა ცენტრმა, შეიძლება ითქვას, „ხელში ჩაიგდო", ანუ მოხდა ის, რაც გვსურდა: ჩვენი მიზანი ხომ ისაა, რომ რაც შეიძლება მეტი რუსი მივიტყუოთ და მონაცემების მაქსიმუმი შევკრიბოთ მათ ტექნიკაზე — რადარებზე, მოწყობილობებზე, ამომცნობ სიგნალებზე და ა.შ. „მოკლედ, კატათაგვობანას ვეთამაშებით",** — იღიმება კაპიტანი მაქსიმ ლერუა.

ფრანგული კორვეტი ბათუმში შესვლის წინაც რუსულმა Su-24-მა და Su-30M-მა რამდენჯერმე მოინახულეს. ყველა მონაცემი შეგროვდა და პარიზში იქნა გადაგზავნილი, ინფორმაციის მთავარ ბაზაში. მონაცემებს შემდეგ ფრანგი სამხედრო სპეციალისტები გააანალიზებენ და დაადგენენ, თუ როგორი რეაქცია აქვს რუსეთს. **„ჩვენ ვამჩნევთ, რომ რუსეთს მეტი აგრესიულობა დასჩემდა. მოსკოვს ძალის ჩვენების სურვილი გაუჩნდა",** — ამბობს ფრანგი ადმირალი, ანონიმურობის პრინციპის დაცვით, — **„როგორც კი შავ ზღვაში ნატოს ხომალდი გამოჩნდება, რუსეთი მას ყველანაირი საშუალებით თვალს ადევნებს".**

„ჩვენი კორვეტი ყირიმის ნაპირებთან არამარტო სადაზვერვო ხასიათის მონაცემებს აგროვებს, — ამბობს ლეიტენანტი **გოტიე** თავდაცვის სამინისტროდან, — **არამედ სამხედრო დიპლომატიის ერთგვარი ინსტრუმენტიც გახლავთ: საფრანგეთის ეროვნული სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდის ყოფნა შავ ზღვაში იმის საშუალებასაც იძლევა, რომ მოკავშირე ქვეყნების ფლოტებთან მჭიდრო და რეგულარული ურთიერთობაც გვქონდეს",** ანუ ნატოს სხვა ხომალდებთან.

რასაკვირველია, ეს ყველაფერი მოსკოვის გაღიზიანებას იწვევს. მით უმეტეს, რომ ბათუმში ყოფნისას ფრანგული გემი ჯერ საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა მოინახულა, შემდეგ კი კორვეტი ზღვაში ერთობლივი სწავლების მიზნით ქართველი მესაზღვრეების სანაპირო დაცვის კატერთან ერთად გავიდა. **„ქართველები რეალურად ისწრაფვიან, რომ ნატოს სტანდარტებს გაუსწორდნენ და მათ ეს კარგად გამოსდით",** — ამბობს კაპიტანი **მაქსიმ ლერუა.** ანალოგიური სწავლებები იქნება უკრაინისა და რუმინეთის ფლოტის ხომალდებთანაც.

თურქეთის გავლენა

შავი ზღვის რეგიონზე, რუსეთ-ნატოსა და რუსეთ-უკრაინის მეტოქეობის გარდა, თავის გავლენას ახდენს ანკარისა და მოსკოვის ერთმანეთთან დაახლოება.. **„მართალია, თურქეთი ნატოს წევრია, მაგრამ რუსეთს ზედმეტად უახლოვდება. ინტეგრაციის პროცესი 2016 წლიდან დაჩქარდა",** — ამბობს **იგორ დელანოე** და განმარტავს, რომ ანკარა და მოსკოვი ერთმანეთთან თანამშრომლობენ სტრატეგიულ სფეროებში. ვთქვათ, სირიის საკითხში, რომ არაფერი ვთქვათ ეკონომიკური ურთიერთობების მაღალ დონეზე.

რაც შეეხება კორვეტს, კაპიტანი თვლის, რომ **„ოპერატიული თვალსაზრისით თურქებთან პრობლემები არ გვაქვს. ხელს არ გვიშლის ის ფაქტიც, რომ რეჯეფ ერდოღანსა და ემანუელ მაკრონს შორის გარკვეული დიპლომატიური დაძაბულობა არსებობს".** როგორც ცნობილია, ელისეის სასახლეში თვლიან, რომ თურქეთი მხარს არ უჭერს ნატოს სხვა ქვეყნების „ჩარევას შავ ზღვაში" უკრაინის კრიზისის გამო.

„განგაში დასრულებულია" — ისმის ბრძანება, მიუხედავად იმისა, რომ ცაში მფრინავი ობიექტი მოჩანს. საზენიტო ტყვიამფრქვევისა და 20-მილიმეტრიანი ქვემეხის ლულა დაბლა ეშვება. მეზღვაურები ზემოთ იხედებიან, სადაც ვერტმფრენის გრუხუნი ისმის. „თურქეთისაა", — ამბობს ზემდეგი, რომელიც კომპიუტერის ეკრანზე ამომცნობ ნიშნებს ამოწმებს. ოპერაციული ცენტრიდან დადასტურებაა: ვერტმფრენი თურქული ფრეგატის გემბანიდან აფრინდა ფრანგული კორვეტის შემოწმების მიზნით და იმის საჩვენებლად, რომ შავ ზღვაში რუსების გარდა, თურქებიც იმყოფებიან.

სიმონ კილაძე

ჩვენ მტრები და მეგობრები არ გვყავს

ნატო რუსეთს მტრად არ განიხილავს და სამყაროს მტრებად და მეგობრებად არ ყოფს, — ამის შესახებ „ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა.

„ჩვენ მტრების სიას საერთოდ არ ვადგენთ. არ განვიხილავთ რუსეთს მტრად, მაგრამ ვხედავთ, რომ თავდაჯერებულმა რუსეთმა მეზობელი ქვეყნის, უკრაინის წინააღმდეგ სამხედრო ძალა გამოიყენა", — აღნიშნა სტოლტენბერგმა. რამდენიმე დღის წინათ საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა განაცხადა, რომ ნატოს საერთო მტერი არა რუსეთი ან ჩინეთი, არამედ ტერორიზმია. ამის შემდეგ სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ ნატო-რუსეთის ურთიერთობები უკეთესობისკენ უნდა შეიცვალოს, ვინაიდან რუსეთი არის და დარჩება ნატოს უმსხვილეს მეზობლად.

პუტინისა და ზელენსკის პირველი შეხვედრა

პარიზში, ელისეის სასახლეში, რუსეთისა და უკრაინის პრეზიდენტები ერთმანეთს პირისპირ შეხვდებიან. აუდიენცია ნორმანდიული ოთხეულის ლიდერების შეხვედრის შემდეგ გაიმართება. ეს პუტინისა და ზელენსკის პირველი შეხვედრა იქნება. სამწლიანი პაუზის შემდეგ პირველად გუშინ საფრანგეთში ნორმანდიული ოთხეულის სამიტი გაიხსნა. სამიტში მონაწილეობენ გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი, საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი, უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმირ ზელენსკი და რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი.

ყველაზე ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრი მსოფლიოში

34 წლის სანა მარინი მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრი გახდება, რომელიც ფინეთის კოალიციურ მთავრობას უხელმძღვანელებს. ტრანსპორტის მინისტრი მისმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მთავრობის ხელმძღვანელად აირჩია, რათა მან პრემიერ-მინისტრ ანტი რინეს გადადგომის შემდეგ, ქვეყანას უხელმძღვანელოს. ის თანამდებობას ამ კვირაში დაიკავებს.

სანა მარინი მემარცხენე-ცენტრისტულ კოალიციას უხელმძღვანელებს, რომელშიც ხუთი პარტიაა წარმოადგენილი და ხუთივე პარტიის ლიდერი ქალია.

აქტივისტები პრემიერის ოფისში შეიჭრნენ

მალტაში საპროტესტო აქციის მონაწილეები პრემიერ-მინისტრის ოფისში შეიჭრნენ. ისინი ჯოზეფ მუსკატის გადადგომას ითხოვენ. აქტივისტებმა შენობის შესასვლელი დაბლოკეს. გავრცელებული ინფორმაციით, ამ დროს პრემიერი შენობაში არ იმყოფებოდა.

აქციის მონაწილეები ჯოზეფ მუსკატის გადადგომას ჟურნალისტ დაფნა კარუანა გალიციას მკვლელობის საქმის გამო ითხოვენ. სამთავრობო გუნდის წევრები 2017 წელს მოკლული ჟურნალისტის მკვლელობის საქმეში ფიგურირებენ. ჟურნალისტი დაფნა კარუანა გალიცია 2017 წელს საკუთარ ავტომობილში ააფეთქეს. ჟურნალისტი მთავრობის წევრების კორუფციულ საქმიანობას იძიებდა.

პრეზიდენტმა 2700 საშობაო ბარათის მოაწერა ხელი

ესტონეთის პრეზიდენტმა კერსტი კალიულაიდმა 2700 საშობაო ბარათს მოაწერა ხელი. „საშობაო ბარათების იდეა ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაა. აქ თქვენ იპოვით გზებს, როგორ მიიღოთ ყოველდღიურად უფრო მეტად ეკოლოგიური გადაწყვეტილებები“, — განაცხადა ესტონეთის პრეზიდენტმა.

საშობაო ბარათები გადამუშავებული ქაღალდით მზადდება. ესტონეთის პრეზიდენტის თქმით, საშობაო ბარათებს ყოველწლიურად ამზადებენ და ამისთვის ესტონელ ხელოვანებთან ერთად მუშაობენ.

აღმოაჩინეს 105 წლის წინ ჩაძირული ხომალდი

ფოლკლენდის კუნძულებთან პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, 105 წლის წინ ბრიტანული საზღვაო ძალების მიერ ჩაძირული გერმანული ძირითადი საბრძოლო კრეისერი „შარნჰოსტი“ აღმოაჩინეს. ხომალდი 1914 წლის 8 დეკემბერს ჩაიძირა მაშინ, როდესაც ბორტზე ეკიპაჟის 800-ზე მეტი ადამიანი იმყოფებოდა ვიცე-ადმირალ ფონ შპისტან ერთად.

ჩაძირული გემის აღმოჩენა შეძლო სპეციალურმა ჯგუფმა. მათი თქმით, ისინი წყლის ქვეშ ჩრდილების გამოჩენისთანავე ყოველთვის ცდილობენ იმის გარკვევას, თუ რა იმალება ზღვაში. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის დროს საზღვაო არქეოლოგთა ჯგუფმა წყალქვეშა აპარატების საშუალებით აღმოაჩინა ხომალდი, რომელიც მოგვიანებით დადგინდა, რომ კრეისერი „შარნჰოსტი“ იყო. ზემოხსენებული გემის სამძებრო სამუშაოები 5 წლის წინ დაიწყო ფოლკლენდის კუნძულებზე საზღვაო ბრძოლის 100 წლის აღსანიშნავად, თუმცა მაშინ ჩაძირული ხომალდი ვერ აღმოაჩინეს.

სამძებრო ჯგუფებმა მიმდინარე წელს განაახლეს ოპერაცია წყალქვეშა გემის, ზღვის ფსკერის კონსტრუქტორების და ოთხი ავტონომიური წყალქვეშა მანქანის გამოყენებით.





ხანდაზმულებს ვერ უშველით!

2020 წელს პენსიის მატებას ეკონომისტები არასაკმარისად მიიჩნევენ. გაზრდილი ინფლაციისა და დევალვაციის პირობებში 20-ლარიანი ზრდა ცოტათიც კი ვერ აუმჯობესებს ხანდაზმულთა მდგომარეობას. შედარებით უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ივლისიდან 70 წელს გადაცილებულები, რადგან მათთვის 50-ლარიანი მატებაა განსაზღვრული, თუმცა ვითარება საგრძნობლად არც მათთვის შეიცვლება.

„საზოგადოება და ბანკების“ დამფუძნებელი **გიორგი კეპულაძე** ქვეყანაში დადგენილი პენსიის ოდენობას გაზრდილი ინფლაციის მაჩვენებლის გარეშეც არაადეკვატურად მიიჩნევს.

„ეს არის თანხა, რომელიც ვერანაირ კრიტიკას ვერ პასუხობს, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში ყოველწლიურად ფასები გაცილებით მეტად იზრდება, ვიდრე პენსიის ოდენობა. ხარჯი უფრო მეტად ეზრდებათ პენსიონერებს, ვიდრე შემოსავალი. განსაკუთრებით რთულია ცხოვრება მათთვის, ვისთვისაც პენსია ერთადერთი შემოსავალია, ასეთები კი სამწუხაროდ, ბევრნი არიან. საკითხი პრობლემატურია ქვეყნისთვისაც და ასე სწრაფად ვერ მოგვარდება. მანამდე კი ასაკოვანი ადამიანები საკმაოდ რთული გამოწვევის წინაშე დგანან, ამ გამოწვევას კი გაძვირებული პროდუქტები ჰქვია.

ეტაპობრივად გვესმის წინასაარჩევნო დაპირებები პენსიის გაზრდის შესახებ, უმნიშვნელოდ იზრდება კიდეც, თუმცა ეს ზრდა არ არის იმის საპირწონე, რამდენადაც მატულობს ფასები საქართველოში. მარტოხელა პენსიონერები არიან ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე გაჭირვებული ფენა, რომლებიც იყენებენ იმ პროდუქტს, რაზეც ფასი გაცილებით მეტად გაძვირდა, ვიდრე 7%-იანი ინფლაციაა“, — ამბობს გიორგი კეპულაძე.

ეკონომისტი **გია ჯანდიერი** კი „კომერსანტთან“ აღნიშნავს, რომ ქვეყანაში შექმნილი კრიზისი იმ მცდარი ეკონომიკური პოლიტიკის ბრალია, რომელსაც საქართველოს მთავრობა ატარებს.

„7%-იანი ინფლაცია როგორც პენსიონერებზე ასევე მთელს ქვეყანაზე ცუდად აისახება, მით უმეტეს საქართველოში. ინვესტორები კიდევ უფრო დაფრთხებიან და დაფიქრდებიან იმაზე, ღირს თუ არა საქართველოში ინვესტიციის ჩადება. ასეთი ინფლაციისა და დევალვაციის პირობებში ბიზნესის დაგეგმვა საკმაოდ რთულდება. ინფლაციის უკან მთავრობა და მისი მცდარი ნაბიჯები დგას, რომელიც მწვავედ და მტკივნეულად მოწყვლად მოსახლეობაზე აისახება. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, დროულად იზრუნონ ლარის კურსის დაკორექტირებაზეც, მაგრამ ეს მთავრობა კურსის კორექტირებას როგორ აღიქვამს, არ ვიცი. კურსს ზემოთ აკორექტირებენ და არა პირიქით“, — ამბობს ჯანდიერი.

ფინანსთა მინისტრი **ვანო მაჭავარიანი** კი ამბობს, რომ 2020 წელს მთავრობა პენსიას იმ მოცულობით ზრდის, რისი შესაძლებლობაც აქვს. სამწუხაროდ, მეტის რესურსი ქვეყანას ახლა არა აქვს.

ეკა ბაძრაძე

ბაგა-ბაღებში ისევ ჩინური სათამაშოები შეაქვთ

თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ დედაქალაქში მოქმედი 181 ბაგა-ბაღისთვის ნახევარ მილიონამდე ლარის ღირებულების სათამაშოები შეისყიდა. ტენდერში შპს „ჩიკამ“ გაიმარჯვა, რომელსაც სათამაშოები ჩინეთიდან, უკრაინიდან და თურქეთიდან შემოაქვს. გარდა ამისა, სათამაშოები ხელოვნური მასალისგან არის დამზადებული.

აღსანიშნავია, რომ თბილისის საბავშო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ მიმდინარე წლის თებერვალში ახალი პროექტის დაწყება დააანონსა, რომლის მიზანი იყო, ბაგა-ბაღებში მოძველებული და ხელოვნური მასალებისგან დამზადებული სათამაშო ინვენტარის ჩანაცვლება ეკოლოგიურად სუფთა მასალისგან დამზადებული სათამაშოებით.

თუმცა, შემოდგომაზე გამართული ტენდერის გზით, ისევ ხელოვნური მასალისგან დამზადებული სათამაშო ინვენტარის შეძენა მოხდა. **როგორც ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ჩიკას“ დირექტორი ნინო კალანდაძე „კომერსანტთან“** საუბრისას აცხადებს, ყველა სათამაშოს ევროკავშირის ხარისხის სერთიფიკატი აქვს, თუმცა, აქვე იმასაც ადასტურებს, რომ სათამაშოები ხელოვნური მასალისგან არის დამზადებული და მათი ძირითადი მიმწოდებელი ჩინეთია. გარდა ამისა, ნინო კალანდაძე რეგიონების ნაწილში გამართულ ტენდერებს იხსენებს, სადაც უხარისხო სათამაშოების მიწოდება ხდება.

თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ ბაღებში ახალი სათამაშოები უკვე დაარიგა. სათამაშოების მომწოდებელი კომპანიები არიან: Lesheng craft&toys factory (ჩინეთი), Guanghui toys factory (ჩინეთი), LLC „Intelkom“ (უკრაინა) და Dolu Oyuncak San. Ve Tic A.S. (თურქეთი).

ნინო თამაზაშვილი

მხილება:

ქართულ სამშენებლო ბიზნესში უცხოური კომპანიები დომინირებენ!

(მეხუთე გვერდიდან) რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ იზრდებიან ქართული კომპანიები, სეთურიძის პოზიცია შემდეგია: **„აქ უფრო სიღრმისეული ანალიზია საჭირო. შემსყიდველ ორგანიზაციას რომ მოუნდეს, რომ ხელი შეუწყოს ინდუსტრიას,შეიძლება არ განახორციელოს ის დამხმარე მექანიზმები, რომელიც ბიზნესს ხელს შეუწყობს მხოლოდ და მხოლოდ იმის შიშით, რომ მერე დაბრალდება მას რაღაც. ამიტომაა უცხოური კომპანიები. პირველი მიზეზი, რატომაც ქართული კომპანიები არ ან ვერ მონაწილეობენ სახელმწიფო ტენდერებში, არის კონტრაქტების სიდიდე და სირთულე. „გეო გრუპი“ „ბლექ სი გრუპი“ „ფერი“ და ბევრი სხვა კომპანიები არსებობს დღეს, რომლებიც სამშენებლო ინდუსტრიის საფუძველია. არ უნდა შეგვეშინდეს იმის, რომ ქართულ ბიზნესს ხელი შევუწყოთ. შემსყიდველსაც პრობლემად უნდა მიაჩნდეს არსებული მდგომარეობა. ყველა თანაბარ პირობებში ჩაყენოს და პრობლემის აღმოფხვრაზე იმუშაოს და არა კომპანიების დაჯარიმებაზე და ასე შემდეგ. ბოლო წლებში არათანაბრად განვითარდნენ ამ სექტორში კომპანიები,თუმცა პრობლემა დაძლევადია, საქართველოში ინფრასტრუქტურული პროექტები მოიმატებს. წარუმატებელი ორგანიზაციები ეძებენ მიზეზს სხვაგან, მიზეზი უნდა ვეძებოთ კანონმდებლობაში, ორგანიზაციაში და ასე შემდეგ“,** — ამბობს სეთურიძე.

„ძალიან ცუდი ტენდენციაა დღეს, ზოგადად, ამ საკითხების კომენტირებისას ერთი ჯადოსნური სიტყვის გამოყენება — „კორუფცია“ და თვითონაც არ იციან კორუფცია რა არის, რაში გამოიხატება და როგორ უნდა ვებრძოლოთ მას. სინამდვილეში, არ არსებობს ქვეყანა, სადაც ამა თუ იმ დონეზე კორუფცია არ არის და იმ ქვეყანას უნდა ჰქონდეს სწორი მექანიზმები ამის აღმოჩენის და აღმოფხვრის. ამ საქმეში ჩვენი ქვეყანა ერთ-ერთი წარმატებულია. ამ ტერმინის ასე გამოყენება დაბალი ხარისხის შეფასებაა. პრობლემები არის ინდუსტრიაში, რომელიც არის ძირეულად შესასწავლი.

საქართველოში არიან კომპანიები, რომელთაც შეუძლიათ ეს მსხვილი პროექტები ტექნიკურად შეასრულონ, მაგრამ არ მონაწილეობენ ტენდერებში, ამის მიზეზი არის ფინანსური მხარე, თავისუფალი სახსრები, იმ შემთხვევაში თუ დიდ ტენდერებზეა საუბარი და მას ვერ დავანაწევრებთ — კომპანიები ბრუნვებით ვერ აკმაყოფილებენ პროექტის მოთხოვნებს. ინფრასტრუქტურული პროექტებიდან სულ ორი ობიექტია, რომელსაც ქართველები ვერ ააშენებენ, ეს არის ალბათ ქვეშეთი-კობის გვირაბი და ამ გზაზე ხიდი, რომლის გამოცდილებაც არ აქვთ. ნამდვილად დიდი პრობლემაა, რომ ამ წლების მანძილზე არ წარმოიქმნა მეტი კომპანია და არ განვითარდა, მაგრამ როგორ უნდა გადავლახოთ ეს პრობლემა? აქ უკვე ვაწყდებით სისტემურ პრობლემას, რომელსაც უფრო სიღრმისეული ანალიზი სჭირდება, რომელზეც ალბათ, უნდა იზრუნოს შემსყიდველმაც, თუ არის ასეთი პოლიტიკა და მიზანი დასახული, რომ ქართული კომპანიები მეტი გვყავდეს სხვადასხვა პროექტებში, — აღნიშნა სეთურიძემ.

„Forbes Georgia“-მ „Grant Thornton“-თან და „EBIT Group“-თან ერთად სამშენებლო კომპანიების რეიტინგი მოამზადა. სიაში მოხვდნენ კომპანიები, რომლებიც საცხოვრებელ სახლებს, ავტომაგისტრალებს და გვირაბებს აშენებენ. როგორც „კომერსანტმა“ გაარკვია 20 უმსხვილეს სამშენებლო კომპანიაში ყოველი მეორე მშენებელი უცხოური კომპანიაა.

მარიამ მორგოშია

◎ ბატუტზე ხტომა

ნორჩი ჩემპიონები – მაია ბოჭორიძე (მარცხნივ) და ანა ლაპიაშვილი

ქართული ჰიმნი ტოკიოშიც აჟღერდა

ამომავალი მზის ქვეყნის „ოქრო“ - საქართველოში

40 ქვეყნის 800-მდე სპორტსმენი იბრძოდა მედლებისთვის მომავალი ოლიმპიური თამაშების დედაქალაქ ტოკიოში, სადაც ტანვარჯიშის ცენტრმა ბატუტზე მხტომელთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლა. ასაკების მიხედვით ერთმანეთს პირველობას 1998-2008 წლებში დაბადებული გოგო-ბიჭები ეცილებოდნენ. მათ შორის რამდენიმე ქართველიც (ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზაურ სულაშვილი) იყო. 12-წლამდელებში შესანიშნავად იასპარეზეს გიორგი კიკნაძისა და როზა ბერიკაშვილის აღზრდილებმა – მაია ბოჭორიძემ და ანა ლაპიაშვილმა. სინქრონულ ხტომებში მათ საკვალიფიკაციო ეტაპზე 44.710 ქულით მე-2 ადგილი დაიკავეს, მაგრამ, სამაგიეროდ, ფინალში იყვნენ შეუდარებელნი: ორივე პროგრამა უნაკლოდ შეასრულეს და 44.340 ქულით მსოფლიოს პირველობის ოქროს მედლები მოიპოვეს. ნორჩი ჩემპიონების გამარჯვების აღსანიშნავად ამომავალი მზის ქვეყნის დედაქალაქში ქართული ჰიმნი აჟღერდა. მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, რუსები – ტატიანა კულეშოვა, სოფია ალიაევა და იაპონელები – კარინ ცუჯიტა, იუკა სუძუკი გავიდნენ.

მოგვიანებით ანა ლაპიაშვილის მწვრთნელი, თბილისის ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი როზა ბერიკაშვილი ჟურნალისტებთან საუბრისას იტყვის: **„დღეს შეჯიბრების დამთავრების შემდეგ გოგონებს ტოკიოში ტელეფონით ველაპარაკე. ჩემპიონებად რომ გამოგვაცხადეს და კვარცხლბეკზე დავდექით, საქართველოს ჰიმნის მოსმენისას ორივენი ვტიროდითო, მითხრეს. ამ განცდების სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია. ეს ჩვენი ცუგრუმელა გოგონების უდიდესი წარმატებაა“.**

აღსანიშნავია, რომ ჩვენი ჩემპიონები ასპარეზობის ბოლო დღეს ინდივიდუალურ ხტომებშიც მონაწილეობდნენ და რომ არა არბიტრების მიკერძოებული მსაჯობა, 34 მონაწილეს შორის მაია ბოჭორიძე ფინალში გავიდოდა, ის კი 89.815 ქულით მე-11 იყო. 16-წლამდელთა ერთეულებში სამი ქართველი ცდიდა ძალებს. მათგან ანანო აფაქიძემ 95.065 ქულით მე-10 ადგილი დაიკავა. სამაგიეროდ, სინქრონულ ხტომებში უფრო იყოჩაღა – სოფო დაშნიანთან ერთად (მწვრთნელი ირმა სოლოღაშვილი) ფინალში გავიდა და 45.140 ქულა მოაგროვა, რამაც მათ მე-5 ადგილი მოუტანა.

აღსანიშნავია ისიც, რომ მსაჯთა შორის ერთ-ერთ საუკეთესოდ საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი, უმაღლესი კატეგორიის საერთაშორისო არბიტრი რუსუდან ხოფერია დაასახელეს.

ლიკა დოგრაშვილი

◎ ფიგურული ციგურაობა

კვარცხლბეკს გაუშინაურდნენ

ბოლო დროს ფიგურულად მოციგურავე ქართველი სპორტსმენები კვარცხლბეკზე სულ უფრო ხშირად ადიან. მაგალითად, მორის ყვითელაშვილმა წლეულს საერთაშორისო ტურნირებში რამდენიმე მედალი მოიპოვა, ორიოდე დღის წინათ კი, როგორც ვწერდით, ხორვატეთის დედაქალაქ ზაგრების საერთაშორისო ტურნირზე ლუკა ბერულავამ და ალინა ბუტაევამ (142.54 ქულა) ოქროს მედალი დაიმსახურეს. ჩვენებმა მეორე-მესამე ადგილებზე გასულ ამერიკელებს – ანასტასია სმირნოვასა და დანილო სინიცას (132,70), ვინთერ დირდორფსა და მაიკლ ჯონსონს (132,59) საგრძნობლად გაუსწრეს.

უფრო მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს იტალიურ ტურინში ფიგურული ციგურაობის საერთაშორისო კავშირის (ISU) მიერ ორგანიზებულ გრან პრიზე გიორგი რევიამ და მარია კაზაკოვამ ყინულზე ცეკვებში. მათ ორივე დისციპლინაში (რიტმული და თავისუფალი ცეკვა) მაღალი შეფასება მიიღეს (68.76 და 106.14 ქულა) და საბოლოოდ 174,90 ქულით ამ პრესტიჟულ ტურნირზე პირველი ადგილი არავის დაუთმეს. „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“, შესაბამისად, ამერიკელმა (ეივონლი ნგუნიენი, ვადიმ კოლესნიკი – 174,74) და რუსმა (ელიზავეტა შანაევა, დევიდ ნარიჟნი- 164,22) მოცეკვავეებმა გაიყვეს.

ანანო ანტონაშვილი

გიორგი რევია და მარია კაზაკოვა

◎ ძალოსნობა

ევროპა ეილათში შეიკრიბა

საქართველოს 14 წარმომადგენელი გაემგზავრა ისრაელის ქალაქ ეილათში, რომელიც 15 და 17-წლამდელ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატს მასპინძლობს. მთავარი მწვრთნელის – ზურაბ ანთაურის (მწვრთნელები – ბეჟან ჭიჭინაძე და ილია თვალოძე) ხელმძღვანელობით მედლებისთვის იბრძოლებენ: 15-წლამდელებში – ნიკა ესართია (67 კგ, ზუგდიდი), თორნიკე ლომთაძე (73, ქუთაისი), გურამ ვეკუა (89, ზუგდიდი). 17-წლამდელებში – ბაჩუკი შამილიშვილი (55 კგ. აჭარა), გიორგი ხარაზიშვილი (61, ხაშური), გურამ გიორბელიძე (67, ქუთაისი), მანუჩარ გოგოხია (81, ზუგდიდი), საბა ასანიძე (81, თბილისი), ლუკა ქაშიბაძე (89, წყალტუბო), ლაშა თაქთაქიშვილი (96, თბილისი), საბა ანთაური (102, თბილისი), ვანო ქაზუმაშვილი (102, დუშეთი), მიხეილ ადამია (+102, თბილისი). 15-წლამდელ გოგონებში ზუგდიდელი ნათია გადელია (76 კგ, მწვრთნელი თემურ ჯანჯღავა) იასპარეზებს.

მთავარი მწვრთნელის თქმით, ჩვენი ათლეტები კარგად არიან მომზადებული. ძალოსნობის ეროვნული ფედერაციისა და საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის გია ასანიძის დახმარებით მათ დუშეთის ბაზაზე ვარჯიშისა და აქტიური დასვენებისთვის ყველა პირობა ჰქონდათ შექმნილი. საგულისხმოა, რომ შარშან ამავე ასაკის ქართველმა ძალოსნებმა მილანში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე 15 მედალი მოიპოვეს. ამ შედეგით ჩვენმა სპორტსმენებმა 15-17-წლამდელთა შორის ქართული ძალოსნობის ისტორიაში პირველად მეორე გუნდური ადგილი დაიკავეს.

ქართველთაგან უკვე ორი ათლეტი გავიდა ეილათის ფიცარნაგზე: 55 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბაჩუკი შამილიშვილმა ექვსივე ცდა გამოიყენა – 87 კილოგრამი აიტაცა, 115 კილო აკრა და როგორც თითოეულ მოძრაობაში, ისე ორჭიდის ჯამში (202 კგ) მე-11 ადგილი ხვდა.

61 კილოში გიორგი ხარაზიშვილმა იასპარეზა. მან ატაცში 106-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა, შემდეგ აკვრისას 131 კილოს მოერია, ორჭიდში კი 237 კილოს მოუყარა თავი და სამივე დისციპლინაში მე-6 ადგილზე გავიდა.

ქართველ ათლეტთა გამოსვლის განრიგი:

10 დეკემბერი. ნიკა ესართია; თორნიკე ლომთაძე; **11 დეკემბერი.** ნათია გადელია; **12 დეკემბერი.** მანუჩარ გოგოხია, საბა ასანიძე, გურამ ვეკუა; **13 დეკემბერი.** ლაშა თაქთაქიშვილი, ლუკა ქაშიბაძე; **14 დეკემბერი.** საბა ანთაური, ვანო ქაზუმაშვილი, მიხეილ ადამია.

მარიამ მარლია

◎ ჭიდაობა

ჩემპიონის ვარსკვლავი - რუსთავის პარკში

თეიმურაზ ყაზარაშვილი და ედიშერ მაჩაიძე

ახმეტაში დაბადებულ-გაზრდილს ნახერხმოყრილ სარბიელზე მრავალჯერ მოუსინჯავს მკლავისა და მუხლის ძალა. საცხოვრებლად რუსთავში გადასვლის შემდეგ ფეხბურთმა და მძლეოსნობამ გაიტაცა. ერთხელაც ფიზაღზრდის მასწავლებელმა ჭიდაობის დარბაზში დაიბარა და... იქიდან დაიწყო გზა დიდების მწვერვალებისკენ.

თეიმურაზ ყაზარაშვილზე მოგახსენებთ: ახალგაზრდებში საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონმა, ევროპის მე-2 პრიზიორმა და მსოფლიოს პირველობის ოქროსმედალოსანმა უფროსებში 1982 წელს მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა, მომდევნო წელს კი მესამე პრიზიორი გახდა. ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოსმედალოსანი სსრკ ორორგზის ჩემპიონი და მესამე პრიზიორია, მსოფლიოს და საკავშირო თასების მფლობელი, სსრკ ხალხთა VIII სპარტაკიადის მეორეადგილოსანი, საერთაშორისო ტურნირების, მსოფლიოს უნივერსიადისა (1981) და 1984 წლის მსოფლიოს გრან პრის გამარჯვებული, სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის ექსტრა კლასის არბიტრი, 2015 წლის საქართველოს საუკეთესო მსაჯი.

ეს რეგალიები არა მარტო ერთ კაცს, არამედ ადამიანთა ჯგუფსაც კი დაამშვენებდა, თუმცა, თეიმურაზ ყაზარაშვილს განვლილი გზიდან ერთ რამეზე მაინც წყდება გული: 1980 წელს საუკეთესო სასპორტო ფორმაში მყოფი მოსკოვის ოლიმპიადაზე არ წაიყვანეს – მის ნაცვლად ნაკრებში ყაზახი ჟაკსალიკ უშკემპიროვი მიიწვიეს, არადა, ვინ იცის, რამდენჯერ მოუგია მისთვის. შუააზიელი მოსკოვში ჩემპიონი გახდა. მაშინ 20 წლის იყო და ბევრი არ უდარდია – მომავლის იმედი ჰქონდა, 1984 წელს კი მოსკოვმა ლოს ანჯელესის თამაშებს ბოიკოტი გამოუცხადა და თემურ ყაზარაშვილს მეორედ გადაეკეტა ოლიმპიადისკენ მიმავალი გზა...

აქტიურ სპორტთან განშორების შემდეგ საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნეს, მერე „შრომითი რეზერვების“ თავკაცი და საჭიდაო სკოლის დირექტორი იყო, 1994 წლიდან ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია, ხოლო 1990 წლიდან მსაჯობს. 1994 წელს საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი გახდა, 2003 წელს ექსტრა კლასის წოდება მიანიჭეს, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე არაერთხელ იმსაჯა, 2016 წელს რიოს ოლიმპიურ თამაშებზე კი პრაქტიკული კომისიის წევრად მიიწვიეს...

ორიოდე დღის წინათ მსოფლიოს ჩემპიონსა და თასის მფლობელ თემურ ყაზარაშვილს 60 წელი შეუსრულდა. იუბილესთან დაკავშირებით რუსთავის კულტურისა და დასვენების პარკში მისი სახელობის ვარსკვლავი გაიხსნა, ხოლო განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილებით, „სპორტის რაინდის“ წოდება მიენიჭა. სახელოვან სპორტსმენს საზეიმო ცერემონიალზე ჯილდო მინისტრის მოადგილემ შალვა გოგოლაძემ გადასცა.

ნიკა ტყემალაძე

◎ ჭადრაკი

მონაკო ისევ ეპიცენტრად დარჩა

სწრაფ და ელვისებურ ჭადრაკში ქალთა ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მონაკო კვლავ დარჩა ბრძენთა თამაშის ეპიცენტრად: იქ თავი მოიყარეს მსოფლიოს უძლიერესმა დიდოსტატმა მანდილოსნებმა, რომლებიც ფიდეს 2019-2020 წლების გრან პრის გათამაშების მეორე რაუნდში ჩაებნენ.

მოჭადრაკე ქალთა ეს შეჯიბრება ოთხი ეტაპისგან შედგება. ასპარეზობაში მსოფლიოს 16 საუკეთესო დიდოსტატი მონაწილეობს. თითოეული მათგანი სამ ტურნირში ითამაშებს და უძლიერესი იქ მოგროვებული ქულების ჯამით გამოვლინდება. პირველ-მეორე ადგილებზე გასული მოჭადრაკეები 2021 წლის პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებენ.

ნანა ძაგნიძე

ერთი ტურნირი უკვე გაიმართა რუსულ სკოლკოვოში, სადაც პირველი ადგილი ინდოელმა ჰამპი კონერუმ დაიკავა, მეორე-მესამე ადგილები კი ცზიუ ვენძიუნმა (ჩინეთი) და ალექსანდრა გორიაჩკინამ (რუსეთი) გაიყვეს.

მეორე ეტაპი 3 დეკემბერს მონაკოს იახტ-კლუბ „დე მონაკოში“ დაიწყო. იქ მთავარი პრიზისთვის მებრძოლთა შორის არიან 2017 წლის ევროპის ჩემპიონი ნანა ძაგნიძე (მას სკოლკოვოში არ უთამაშია), მსოფლიოს და ევროპის ექს-ჩემპიონი ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი), მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მარია მუზიჩუკი (უკრაინა), ევროპის სამგზის ჩემპიონი ვალენტინა გუნინა (რუსეთი), ევროპის პირველობების ორ-ორგზის გამარჯვებულები – პია კრამლინგი (შვედეთი) და კატერინა ლაგნო (რუსეთი), ასევე, ელიზავეტ პეტცი (გერმანია), ანა მუზიჩუკი (უკრაინა), ჰამპი კონერუ, ჰარიკა დრონავალი (ორივე – ინდოეთი), ჩუაო სიუე (ჩინეთი) და რუსი ალექსანდრა გორიაჩკინა.

მონაკოში უკვე გათამაშდა ექვსი ტური. ხუთ ტურში ნანა ძაგნიძემ გერმანელი პეტცი დაამარცხა, ოთხ მეტოქეს (დრონავალის, ა. მუზიჩუკს, კონერუსა და კრამლინგს) დაუზავდა, ხოლო ბოლო, მე-6 ტურში კატერინა ლაგნოსთან დათმო პარტია. ამავე ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა: კოსტენიუკი – კონერუ 0.5:0.5, ჩუაო სიუე – ა. მუზიჩუკი 0:1, დრონავალი – მ. მუზიჩუკი 1:0, პეტცი – გუნინა 1:0, კრამლინგი – გორიაჩკინა 0:1.

მოჭადრაკეებმა გუშინ დაისვენეს. დღეს მე-7 ტურის შეხვედრები გაიმართება.

მარიამ დანელია

არდავიწყება

სულგანათლება მამა-შვილისა

40 დღე გავიდა მამა-შვილის მოწამეობრივი გარდაცვალებიდან.

ვახსენოთ ნოდარ ჯაველიძე — გამორჩეული ქართველი კაცი, შესანიშნავი ცოლ-შვილის პატრონი, ღვაწლმოსილი ჟურნალისტი — ხან რედაქტორი რომელიმე „წონიანი“ გაზეთისა, ხან რედაქტორის მოადგილე და თანაც, გამორჩეული.

და მაინც, ვინ იყო ის ბოლო ხანს უსინათლო, ლოგინად ჩავარდნილი, სავარძელს მიჯაჭვული, სამყაროს მოწყვეტილი, სიცოცხლისთვის მებრძოლი ნოდარ ჯაველიძე?

სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, მწერალი, მეცნიერი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ჟურნალისტთა მსოფლიო ასოციაციის წევრი, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი, გამომცემლობა „სამშობლოს“ გენერალური დირექტორი, საქინფორმის მთავარი რედაქტორი, საკოორდინაციო ცენტრის დირექტორი თურქეთის რესპუბლიკაში... „კომუნისტის“, „ახალგაზრდა კომუნისტის“, „ქართლის ცხოვრების“, „სოფლის ცხოვრების“, „სვობოდნაია გრუზიას“, „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი, რედაქტორის მოადგილე, სარედაქციო კოლეგიის წევრი, რამდენიმე წიგნის, მრავალი სამეცნიერო ნაშრომების ავტორი.

მრავალმხრივი შემოქმედებითი საქმიანობისთვის სხვადასხვა კონკურსებში გამარჯვებული, გაეროს ოფიციალური სამადლობელო ბარათების ადრესატი... მთელი მისი სამაგალითო შემოქმედებითი და სახელმწიფოებრივი ცხოვრება, რომელიც 50 წელს ითვლის, იყო სახელოვანი, ეკლიანი და რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, დაუფასებელი.

ერთ კაცს, რომელიც უსაზღვროდ იყო შეყვარებული თავის ხალხზე, სამშობლოზე, რა უნდა გაეკეთებინა იმაზე მეტი, რაც მან გააკეთა და როგორ უნდა დაევიწყებინათ მისი წარუშლელი ღვაწლი!..



და მიატოვეს მაშინ, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდა თანადგომა ძალად დაბრმავებულ ჟურნალისტს, ღირსებაყრილს და თავმოყვარეობაშელახულს... სწორედ ამიტომ იმეორებდა ცრემლიანი თვალებით — რისთვის, რისთვის, რისთვის?! ის ორივე რეჟიმის მსხვერპლი აღმოჩნდა. ტრაგედიაც არის და ტრაგედიაც, განსაცდელიც არის და განსაცდელიც, ბედისწერაც არის და ბედისწერაც...

2019 წლის 25 თებერვალს ნოდარ ჯაველიძის ოჯახში ახალი სასიკვდილო განაჩენი დადგა. მის უსაყვარლეს უმცროს ვაჟს, ჩვენს კოლეგას ლაშას ავთვისებიანი სიმსივნის III-IV სტადია აღმოაჩნდა. ჯერ კიდევ მომაკვდავმა მამამ კახა კალაძეს ასეთი შინაარსის წერილი მისწერა: „შვილო, კახა! ლაშა გადამირჩინე ჩემს სიკვდილამდე“...

მკურნალობის ის პროცედურა საქართველოში არ ტარდებოდა, თბილისის მერმა გაითავისა სნეული მამის თხოვნა და მისი ძალისხმევით ლაშა სტამბოლის ერთ-ერთ კლინიკაში გადაიყვანეს. უღრმესი მადლობა ამისთვის ბატონ კახა კალაძეს. ვიბრძოლეთ, ვეწამეთ, მაგრამ მოხდა ის, რაც მოხდა — მამა-შვილი ერთდროულად აღესრულა. მამა-შვილზე დარდმა, შვილი მამაზე დარდმა და ბევრმა სხვა რამემაც შეიწირა, არცერთს არ გაუგია ერთმანეთის გარდაცვალება. ლაშას თურმე დედისთვის ორი დღით ადრე უთქვამს: „ერთი ნაბიჯიღა დამრჩა მამაჩემამდე, ეს დროის ფაქტორიაო“... მართლაც, ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში წასვლის წინ მამა თავისებურად ლუღლუღებდა — „ლა-ლა-ლა-შა“... და იგი დილის 9 საათზე აღესრულა, ხოლო როგორც ლაშამ გათვალა, მამამდე ერთი ნაბიჯიღა დამრჩაო — ეს იყო პარასკევი, რეგიონალურ ჰოსპიტალში, 9 საათზე თავად შეწყვიტა მაჯისცემა...

მისი ექიმი ოთარ დიხამინჯია, რომელიც დღემდე სასოწარკვეთილია, იხსენებს: ზუსტად 9 საათზე შევედი მასთან და მითხრა: ახლა სახლში უნდა წამიყვანონო. მაკოცა, დამემშვიდობა, კარგად ვარო, დამამშვიდა... მალე კიბეზე დამაწიეს — ლაშა გარდაიცვალაო! მისი გული მშვიდად გაჩერდა...

...იმ დღეს ყვავილებისა და ცრემლების ზღვაში ჩაძირულ მამა-შვილს მთელი ქალაქი ემშვიდობებოდა. ისმოდა სულისშემძვრელი, გამაოგნებელი ქართული საგალობლები. ნაირა ჩხატარაშვილის არაამქვეყნიური ხმა ცას ორად აპობდა — „დავიღალე, დავიღალე, მოდი ჩემთან უფალო!..“ „დიდება მოთმინებასა შენსა უფალო, იესო!“... ხალხის სიყვარულის გამოვლინება იყო იმ ათასეულობით ადამიანის მოსვლა უკანასკნელ გზაზე მამა-შვილის გასაცილებლად.

ნოდარ და ლაშა ჯაველიძეებმა უკვდავებაში გადაინაცვლეს და ადგილს იქ დაიმკვიდრებენ, სადაც მხოლოდ მართალნი განისვენებენ.

სულთათანა იმათ ნათელ სულებს.

ეჰ, ჩვენო ნოდარ, ლამაზო ბიჭო ლაშა, არც ქაღალდზე გადმოტანა იყო ადვილი ამ სათქმელისა, როგორც მოვახერხეთ, ისე გითხარით, მაგრამ არ ვიცი, რა ვუთხრათ და რით ვანუგეშოთ ჩვენი კოლეგა მერი დიხამინჯია, ცნობილი ჟურნალისტი, ნოდარის მეუღლე და ლაშას დედიკო, რომელიც არნახული ტრაგედიის მომსწრეა...

გამძლეობასა და ჯანმრთელობას გისურვებთ, მრავალჭირგადანახადო, ძლიერო და უტეხო ქალბატონო!

მეგობრები გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკიდან“

ნოდარ ჯაველიძის ოჯახის განცხადება

მადლობას მოვახსენებთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას, მის ხელმძღვანელობას იმ გულითადი თანადგომისა და ყურადღებისთვის, რაც ჩვენი ოჯახის უმძიმესი ტრაგედიის დროს გამოიჩინეს. ასევე მადლობას ვუხდით ყველა გაზეთის რედაქციას, მეგობრებს, ახლობლებს, ნათესავებს და ყველას, ვინც გაიზიარა ჩვენი ოჯახის ეს უდიდესი მწუხარება.

მერი დიხამინჯია

◎ ყიფიანის თასი

ღირსეულად წავიდა

საქართველოს შარშანდელ ჩემპიონ „საბურთალოს“ კოლექციას დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასიც შეემატა.

გორში გამართულ თბილისურ სატიტულო დერბიში დედაქალაქის კოლორიტული უბნის გუნდმა „ლოკომოტივს“ 3:1 სძლია (კოხრეიძე, გაბედავა, კაკუბავა; სიხარულიძე — პენალტით).

აღსანიშნავია, რომ ამ წარმატების შემდეგ 6-წლიანი მოღვაწეობა დაასრულა გამარჯვებულთა თავკაცმა გიორგი ჭიაბრიშვილმა, რომელიც მთავარი მწვრთნელის რანგში მე-200 ბრძოლაში მოძღვრავდა შეგირდებს.

მის შემცვლელად გიორგი ცეცაძე მოიაზრება, თუმცა, კლუბის პრეზიდენტ ტარიელ ხეჩიკაშვილის განცხადებით, იგი ჯერჯერობით ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებს ავარჯიშებს და ნაადრევი დასკვნებისგან თავის შეკავებას გვირჩევს.

გიორგი შოთაძე

გათავისუფლდეს თბილისი მკვლელი ღიაკამერებისგან!

„თბილისი ენერჯიმ“ ნოემბერში დედაქალაქში 3867 ღიაკამერიანი მკვლელი დანადგარი ქსელიდან განმეორებით ჩახსნა. ამის შესახებ ინფორმაციას თავად კომპანია ავრცელებს.

ქსელიდან ჩახსნილი სახიფათო დანადგარებისა და მოუწესრიგებელი გაზგაყვანილობის ყველაზე მეტი შემთხვევა ისანი-ვაზისუბანში გამოვლინდა — 962 კანონდარღვევა. თბილისის რაიონების მიხედვით სტატისტიკა კი ასეთია: ისანი-ვაზისუბანი — 962; სამგორი — 878; საბურთალო — 449; გლდანი — 343; მთაწმინდა — 296; სანზონა — 226; კრწანისი — 213; ნაძალადევი — 174; დიდუბე — 95; ჩუღურეთი — 84; ნუცუბიძე — 72; დიღომი — 41; ვაკე — 26; წყნეთი — 8.



„ზამთრის სეზონის დადგომასთან ერთად, საცხოვრებელ ბინებში გაზის დანადგარებისა და ხელსაწყოების გამართული მუშაობა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. კომპანია „თბილისი ენერჯის“ სპეციალისტები სრულად მობილიზებულები არიან და გეგმიური შემოწმებების გარდა ინტენსიურად ამოწმებენ გაზგაყვანილობასა და შიდა ქსელს. მიუხედავად უამრავი მაგალითისა და გაფრთხილებისა, სტატისტიკა მეტყველებს, რომ ხშირ შემთხვევაში, აბონენტების ნაწილი აიგნორებს ჩვენი სპეციალისტების გაფრთხილებებს და უკვე ჩაჭრილ სასიკვდილო დანადგარებს ხელმეორედ, თვითნებურად აერთებს ქსელზე. ხშირად გაზის დანადგარების მილებს უერთებენ კორპუსის სავენტილაციო არხებს, რაც კატეგორიულად აკრძალულია. ამით ისინი არა მხოლოდ საკუთარ და საკუთარი ოჯახის წევრების, არამედ სხვა ადამიანების სიცოცხლესაც საფრთხეს უქმნიან. ნოემბრის თვეში კომპანიის სპეციალისტებმა დედაქალაქში 3867 დარღვევა გამოავლინეს და ქსელიდან ჩახსნეს სასიკვდილო დანადგარები“, — წერია „თბილისი ენერჯის“ განცხადებაში.

ოქტომბერში „თბილისი ენერჯის“ სპეციალისტებმა დედაქალაქში 7053 დარღვევა გამოავლინეს. 31 ოქტომბერს ცნობილი გახდა, რომ გაზის მომხმარებლებისთვის რეგულაციების ამოქმედება გადავადდა.

ვრემია „საბას“ გამარჯვეგულეგი ცნოგილია

ლიტერატურული **პრემია „საბას“ რიგით მე-17 საზეიმო დაჯილდოებას თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიამ უმასპინძლა.**

ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ **გიორგი კეკელიძე, ხათუნა ცხადაძე, თეა თოფურია, ზაალ ანდრონიკაშვილი** და **რუსუდან რუხაძე,** გამარჯვებულები 8 ნომინაციაში გამოავლინა.

1. საუკეთესო რომანი — **აკა მორჩილაძე** „კუპიდონი კრემლის კედელთან“;

2. საუკეთესო პოეტური კრებული — **ზაზა ბიბილაშვილი** „ფაზლი“;

3. საუკეთესო პროზაული კრებული — **ზაალ სამადაშვილი** „ოსტატთან შეხვედრა“;

4. საუკეთესო პიესა — **ალექსანდრე ლორთქიფანიძე** „დისტოპიესები“;

5. საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი — **თემურ ბაბლუანი** „მზე, მთვარე და პურის ყანა, მანუშაკა მელოდება“;

6. საუკეთესო ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა — **სულხან სალაძე** „უცნობი ძველი აჭარა“;

7. უცხოური ნაწარმოების საუკეთესო ქართული თარგმანი — **ნანა ტონია** თარგმანისთვის ევრიპიდეს „ჰეკაბე“ და **მანანა დუმბაძე** თარგმანისთვის ვირჯინია ვულფის „ორლანდო“;

8. ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის „საბა“ გადაეცა მთარგმნელ **მანანა გიგინეიშვილს.**

წელს საბას ჟიურიმ ვერ გამოავლინა შორთლისტები წლის საუკეთესო კრიტიკაში და ამ ნომინაციისთვის განსაზღვრული ჯილდო, ასევე, ჟიურის გადაწყვეტილებით, გადანაწილდა ორ სხვადასხვა ნომინაციაზე. ნომინაციაში ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა დაჯილდოვდა **ნინო ლომაძის** „ვაშლის ბაღები“ და ნომინაციაში ლიტერატურული დებიუტი — **გიორგი მასხარაშვილი** „14 კრისტალის თეორია“.

წელს ლიტერატურულ კონკურსში „საბა“ 300-მდე კონკურსანტი მონაწილეობდა. დაჯილდოების ცერემონიაზე სწორედ ამ ფინალისტებიდან გამოვლინდნენ გამარჯვებულები, რომლებსაც „საბას“ პრიზები და სოლიდური ფულადი პრემიები გადაეცათ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001
ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ელჩს წიგნის ქურდობაში ადანაშაულებენ

არგენტინაში **მექსიკის ელჩი ოსკარ რიკარდო ვალერო, რომელსაც ბუენოს-აირესის ერთ-ერთი მაღაზიიდან წიგნის ქურდობაში ადანაშაულებენ, სამშობლოში დაბრუნდება, — ამის შესახებ Twitter-ზე მექსიკის საგარეო საქმეთა მინისტრი მარსელო ებრარდი წერს.**

„ეთიკის კომიტეტს ვთხოვე, შეესწავლა ინციდენტი, რომლის მიხედვითაც არგენტინაში ჩვენს ელჩს წიგნის ქურდობაში ადანაშაულებენ. ამ ეტაპზე ელჩს სამშობლოში დაბრუნება ვურჩიე. თუ ვიდეოჩანაწერის ავთენტურობა დადასტურდება, ის თანამდებობას დატოვებს“, — წერს ებრარდი.

სათვალთვალო კამერამ დააფიქსირა, რომ 76 წლის დიპლომატმა წიგნის მაღაზია El Ateneo-ში დახლიდან ჯაკომო კაზანოვას ბიოგრაფია აიღო და გაზეთის ქვეშ მაღაზიიდან მისი გატანა სცადა. ელჩი დაცვის თანამშრომლებმა დააკავეს და პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს.

„მის სამყარო 2019“ სამხრეთ აფრიკის წარმომადგენელი გახდა

სილამაზის **საერთაშორისო კონკურსის „მის სამყარო 2019“-ის გამარჯვებული სამხრეთ აფრიკელი ზოზიბინი ტუნზი გახდა. ზოზიბინი ტუნზი სამხრეთ აფრიკელი აქტივისტია, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაშია ჩართული.**

ფინალისტთა სამეულში სამხრეთ აფრიკის წარმომადგენლის გარდა მოხვდნენ კონკურსანტები მექსიკასა და პუერტო რიკოდან.

კონკურსი წელს შეერთებულ შტატებში, ატლანტაში გაიმართა.

გენდერული თანასწორობის დაკანონება რესტორნიდან დაიწყეს

ძალები **და კაცები საუდის არაბეთის რესტორნებში მოსახვედრად ერთი შესასვლელით ისარგებლებენ.**

აქამდე ქვეყნის ყველა რესტორანს ორი შესასვლელი ჰქონდა: ერთით ოჯახები და ქალები სარგებლობდნენ, მეორეთი კი მარტო მოსული კაცები. დღეს კი ქვეყნის მთავრობამ განაცხადა, რომ ეს წესი აუცილებელი აღარ არის. თუმცა სურვილის შემთხვევაში რესტორნების მფლობელებს ძველი წესით მუშაობა შეუძლიათ.

ქალთა უფლებებზე ზრუნვა საუდის არაბეთის მემკვიდრე პრინცმა მუჰამედ ბენ სალმანმა დაიწყო. მის მიერ წარმოდგენილ ეკონომიკური გარდაქმნის პროგრამაში სახელწოდებით „ხედვა 2030“ ქალთა როლი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. ქალებს შეიარაღებულ ძალებში მსახურობის, მანქანის მართვის და დამოუკიდებლად მოგზაურობის უფლება მისცეს.

ახალ ზელანდიაში ვულკანი ამოიფრქვა

ახალ **ზელანდიაში ვულკანის ამოფრქვევის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 5-მდე გაიზარდა. კუნძულ ვაითაილენდის მიმართულებით შვიდი სამაშველო ვერტმფრენი გაფრინდა. გავრცელებული ინფორმაციით, საავადმყოფოში 20 ადამიანია გადაყვანილი. დაშავებულთაგან ოთხის მდგომარეობა კრიტიკულად მძიმეა.**

როგორც ცნობილია, ამოფრქვევის დროს კუნძულზე დაახლოებით 50 ადამიანი იმყოფებოდა. დახმარების ჯგუფები საგანგებო რეჟიმში მუშაობენ.

ახალ ზელანდიაში ვულკანი ბოლოს 2016 წელს ამოიფრქვა.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ყურადღება!
„საქართველოს რესპუბლიკის“ გამოსაწერად მიმართეთ:
„ელვა.ჯი“
577 991651
577 308847
შპს „მაცნე“
599 982777
„პლანეტა ფორტე“
579 799908

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9466; ევრო - 3.2690;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.8683;
100 რუბლი - 4.6218; თურქული ლირა - 0.5113;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7377;
1000 სომხური დრამი - 6.1670

ამინდი 10 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-2,	დღე	+10
მთიანი რაიონები -	ღამე	-9,	დღე	+7
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-2,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	-6,	დღე	+12
თბილისი:	ღამე	0,	დღე	+8

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge